საქართ. მუშარც. სოც.-დემ. ხარ[ჯ]. პარტიი

წელიწადი მეხუთე

# ტრიბუნა

გაზეთი „ტრიბუნა“ ღირს
თვიურად 1,000,000 მან.
ცალკე ნომერი ყველგან 40,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახაზლის ქუჩა, № 6
ტელეფონი 10—34 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადების ფასი:
1 გვ. 200,000 მან. ...
4 „ 150,000 „
სამგლოვიარო განცხადება
1 გვ. 2,500,000 მან.
4 „ 2,000,000 „

მთავარ კომიტეტის ორგანო

№ 487 სამშაბათი, ივნისის 5 1923 წ. ყოველდღიური გაზეთი ფასი 40,000

## ...აბიჯი გამარჯვებისაკენ.

საბჭოთა რუსეთის მეორე ნოტის პასუხი უკ[-]... გამოაქვეყნა დიდი ბრიტანეთის მთავრობამ. ახ... შესაძლებელია არსებულ მდგომარეობის და ახ... მომავლის პერსპექტივების გათვალისწინება... ...ქვევა.

მშვიდობიანობის დაცვა საბჭოთა ფედერაციის ...მებისა და გლეხების საგარეო პოლიტიკის ლე...-მატივია. სისხლის ღვრა, ახალ-ახალ სახაკლაო... აშენება, ხოცვა-ჟლეტა იმპერიალისტური ბურ...აზიის პრაქტიკული მიზანია. მასთან მშრომელთა ...ასს არ აქვს არაფერი საერთო. ამიტომაცაა, ...მ საბჭოთა რუსეთის მეორე ნოტას საფუძვლად ...ვი უდევს და არა სისხლის ახალ ნაკადულების ...ჩუხება. საბჭოთა პოლიტიკის მშვიდობიანი ტო... სრულებით არ ნიშნავს რუსეთის პროლეტარულ ...სების უკან დახევას ანტანტის ბურჟუაზიასთან ...ძოლის პოზიციებიდან. გენუას კონფერენციაზე ...ბჭოთა მთავრობის დიპლომატიამ გარკვეულად ...მოაყენა საერთაშორისო მასშტაბით განიარაღე... საკითხი. საბჭოთა რუსეთმა პირველად სთქვა ...ტყვა მშვიდობიანობის, ზავის ჩამოგდების შესა.... რა თქმა უნდა, ანტანტის იმპერიალისტები ...დის უკმაყოფილებით შეხვდნენ ჩიჩერინის „თავ...ფურ“ მოთხოვნილებას. მათთვის შეუძლებელი ... მილიტარისტული მადის ვიწრო ჩარჩოებში ...მწყვდევა, იმპერიალისტური სულისკვეთების ალაგ....

დღეს ინგლისის მთავრობა სხვა ჰანგზე მღე.... იგი მზადაა იარაღის ჟღარუნს თავი დაანე..., თუ თავის მიზანს იარაღით შებრძოლების გა...მე გაანაღდებს. იყო დრო, როდესაც ინგლისის ...ჟუაზია ლაპარაკს არ კადრულობდა „უკულტუ... ველურ, კომუნისტურ“ რუსეთთან. მაგრამ ...ეს საქმის ვითარება არსებითად შეცვლილია. ...ლისი თავს ანებებს ზარბაზნის ენით საუბარს. ...ევ მეტი, იგი პოლიტიკურ ხასიათის დათმობის ...ერპლის გაღებასაც არ თაკილობს.

ჩვენი მიზანი არაა ინგლისის საპასუხო მე...ანდუმის აზრის დაწვრილებით აღნუსხვა. სა...ადღებოა და საგულისხმო ინგლისის მთავრობის ...ლარაცია აგიტაცია-პროპაგანდის შესახებ.

ლორდ კერზონი „უმნიშვნელო“ მოთხოვნილე...უდგენს საბჭოთა მთავრობას. რუსეთს ევალება ...ყონებლად თავი დაანებოს აგიტაციას აღმო...ეთის მასსებში ინგლისის წინააღმდეგ. ამ მიზ... დიდი ბრიტანეთი მოითხოვს თეირანში და ...ლში რუსეთის წარმომადგენლის უკან გაწვე... დეკლარაციაში ნათქვამია: საბჭოთა ფედერა... მთავრობა ვალდებულია თავი შეიკავოს ყო...ვარი მტრული მოქმედებისაგან და პირდაპირი ...არაპირდაპირი აგიტაციისაგან ბრიტანეთის იმ...ის წინააღმდეგ, განსაკუთრებით ინდოეთსა და ...ნისტანში. თავის მხრით **ინგლისის მთავრობა ...ლოგიურ ვალდებულებას კისრულობს საბჭოთა ...ეთის წინაშე.** რუსეთის მთავრობა ვალდებუ... არ გაუწიოს ფინანსიურ-მატერიალური დახმა... ისეთ პირებსა და ორგანიზაციებს, რომლებ... მიზნათ აქვთ დასახული აჯანყების მოწყობა ...ისის ხელქვეით ქვეყნებში. **ბრიტანეთიც იღებს ...ივე ვალდებულების ასრულებას საბჭოთა ...ერაციის რევოლიუციონურ ხელისუფლების ...თ.**

როგორც ვხედავთ, ინგლისის იმპერიალისტუ... თავრობა ბევრ რასმე მოითხოვს საბჭოთა რუ...საგან. მაგრამ ამავე დროს იგი მიდის თვალსა, ჩინო დათმობაზე. ინგლისი ამიერიდან თავს ანებებს საბჭოთა ფედერაციის საწინააღმდეგო ატმოსფერის შექმნას აღმოსავლეთ. ერებსა დ დამონავებულ მასსებში. მაგრამ ყველაზე უფრო მნიშვნელოვანია დეკლარაციის ის მუხლი, რომელიც ამბობს, რომ **დიდი ბრიტანეთის მთავრობა არ გაუწევს არც ფინანსიურ და არც მატერიალ დახმარებას საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ მებრძოლ ძალებს,** ჩვენ ვიცით, რომ ინგლისის შავი ხელები ამზადებდა ნიადაგს იმპერიალისტურ ელემენტების გამარჯვებისათვის რუსეთის დამარცხების საქმეში. დაწყებული ალექსეევით და ვრანგელით გათავებული რეაქციის მოტრფიალენი უმთავრესად „მოწყალებას“ ანტანტის მეთაურის—ინგლისისაგან ღებულობდნენ. ბრიტანეთის იმედით იმპერიალისტური პოლონეთიც კი მრავალჯერ ამეტყველებულა ტყვიისმფრქვეველთა ენაზე. დღესაც განაგრძობს შლიახტური პოლონეთის მთავრობა მილიტარისტულ ძალების მობილიზაციას. ეს ითქმის მთელ მწარე ანტანტის შემადგენელ ნაწილებზე. რეაქციის ეს პატარა ფინიები ინგლისის ბურჟუაზიის პურით იკვებება. იმპერიალისტურ მადის განვითარების რესურსებს ისინი უმთავრესად ინგლისისაგან ღებულობენ.

დეკლარაციის სისრულეში მოყვანა და მისი ძირითადი აზრის დაცვა განსაკუთრებულ მდგომარეობაში აყენებს იმპერიალისტურ საფრანგეთს. საერთაშორისო რეაქციის გაღვივების და რევოლიუციის დამარცხების ფრონტზე საფრანგეთ-ინგლისი გამოდის ხელი-ხელ ჩაკიდებული. ამ მწვავე საკითხის გადაწყვეტაში ამ ორ სახელმწიფოებს შუა არ არის აზრთა სხვაობა, წინააღმდეგობა. დღეს ყველაზე ცხარედ საფრანგეთის იმპერიალიზმი იბრძვის საბჭოთა ფედერაციის წინააღმდეგ. ვერც ერთ მნიშვნელოვან მუხლში ვერ შეთანხმდნენ საფრანგეთ-რუსეთის წარმომადგენლები გენუა-ლოზანა-ჰააგის კონფერენციასა და თათბირებზე. საფრანგეთის მებრძოლი იმპერიალიზმის ისარი დამიზნებულია საბჭოთა ქვეყნების დამხობისაკენ.

ინგლისის „დეკლარაცია“ საკმაოდ მოზრდილი ყუმბარაა, გასროლილი საფრანგეთ-ინგლისს შორის არსებულ ძმობა-ერთობის დარღვევისაკენ. პუანკარე კარგავს კერზონის იმედებს. საფრანგეთი მარტო გამოდის საბჭოთა რუსეთთან ბრძოლის ველზე. მცირე სახელმწიფოების ამარა იგი ფონს ვერ გავა და ვერ გაიტანს ღელეს რუსეთთან ჯიბრში. უეჭველია, ამ მხრით სოციალისტურ რესპუბლიკებისათვის იშლება ვრცელი არე გამარჯვებისაკენ ახალი პრაქტიკული და სერიოზული ნაბიჯის გადასადგმელად.

ავღანისტან-ინდოეთიდან წარმომადგენლების გაწვევა არც ისეთი „საერთაშორისო“ მნიშვნელობის ფაქტია, როგორც აქვს ეურჟუაზიულ საზოგადოებრივ აზრს შემჩნეული. რევოლიუციონურ მოძრაობა სოციალურ აგიტაცია-პროპაგანდის საქმე ამით არ მოისპობა.

უსათუოდ შემდეგია მართალი: ვერავითარი დიპლომატიური საშუალება ვერ შეარიგებს რევოლიუციას და კონტრ რევოლიუციას, რუსეთსა და ანტანტას.

რევოლიუციის და რეაქციის შეიარაღებული ძალით შებრძოლება გადასწყვეტს „მსოფლიო პრობლებას“. მომავალი გვიჩვენებს დაპირისპირებულ ბანაკთა ბრძოლის შედეგებს.

---

## ...რმია

...მოსკოვის გაზეთში მოთავსებული იყო ლ. ...ცკის წერილი: „წითელი არმია და ეროვნული ...ხი“, საიდანაც მოგვყავს საყურადღებო ად...ბი გაზ. „ბრძოლის“ თარგმნით:

„ჯარი სახელმწიფოებრივობის საუკე...თესო გამოსახულებაა. თუ ჯარი არ შეეფარდება რესპუბლიკების კავშირის შემადგენლობას, რომელიც კლასობრივიცაა და ეროვნულიც, თუ წინააღმდეგობაა ჯარსა და კავშირს შორის ეროვნულ თანასწორობის მხრით, მაშინ ამ გარემოებას მეტად არასასურველი შედეგები მოყვება, როგორც ჯარისთვის, ისე რესპუბლიკათათა მთელ კავშირისათვის. ჩვენი ჯარი ველიკოროსიის ჯარი არ არის. იგი დიდი კავშირის ჯარია, რომელ კავშირის გული ველიკოროსიაა. ველიკოროსიის პროლეტარიატს ყველაზე დიდი სტაჟი აქვს რევოლიუციონურ მუშაობაში და სახელმწიფოებრივ წყობილებაში. მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ველიკოროსიას რაიმე უპირატესობა ჰქონდეს. რუსეთის კავშირში შედიან ეროვნებები, რომელთაც ცარიზმი სტანჯავდა. ეს ეროვნებები ამხანაგურ რჩევას სიამოვნებით მიიღებენ ველიკოროსიის პროლეტარიატისაგან, მაგრამ უფროსობას არ მოითმენენ. უფროსობის მცირე გამოსახვაც კი აჯავრებს მათ, რადგან აგონებს ცარიზმს. თუ ეს დებულება სწორია სახელმწიფოებრივ აპარატის მუშაობაში, მით უფრო სწორია იგი ჯარისთვის. მცირეოდენი უთანასწორობა, ამხანაგურ მოქცევის მცირე შეშლაც კი სპობს ჯარში ერთმანეთისადმი ნდობას. ეს დებულება აშკარა ხდება ჩვენთვის. მაგ. თავდაცვის საქმეში მცირე რესპუბლიკები გეოგრაფიულ მდგომარეობის გამო პირველი მიიღებენ მტრის შემოტევას. თუ ეროვნულ რესპუბლიკების მასებსა და წითელ ჯარს შორის უნდობლობა იქნება, მაშინ საზღვრების დაცვაზე ლაპარაკი ზედმეტია. ჩვენ ეს დავინახეთ ავსტრო-უნგრეთის და რუსეთის მაგალითზე იმპერიალისტურ ომის დროს. აქ საბჭოთა ფორმის მიღება და ახალ სახელების დარქმევა, როგორც ზოგ კარიერისტებს გონია, საკმარისი არ არის. საჭიროა რადიკალური ცვლილებები. რა გზით უნდა მიუდგეთ ამას?

**უპირველეს ყოვლისა უნდა შევქმნათ პირობები ეროვნულ ჯარების შესაქმნელად.**

უნდა დავიწყოთ სამხედრო შკოლების დაირსება ადგილობრივ პირობებთან შეთანხმებით. უნდა მივიზიდოთ ამ მუშაობაში ეროვნებები. მუშაობა უნდა სწარმოებდეს კონტაკტში ადგილობრივ მთავრობებთან და პარტორგანიზაციებთან. რესპუბლიკის სამხედრო სარევოლიუციო საბჭო უნდა გადაიქცეს რესპუბლიკათა კავშირის სამხედრო სარევოლიუციო საბჭოთ, არა მარტო სახელით, არამედ შემადგენლობით და მუშაობის მეთოდით. სამილიციო სისტემის გატარება საშუალებას მოგვცემს გავამაგროთ კავშირი ჯარსა და ეროვნულ მასას შორის.

მაგრამ ეს პროცესი მეტად გძელია. ამ ხნის განმავლობაში უნდა აღვზარდოთ ჯარში შეგნება, რომ ის ს. ს. რ. კავშირის ჯარია, დამცველი კავშირის ყველა რესპუბლიკათა. უნდა შეუბრალებლად გავდევნოთ ჯარიდან ეროვნული შეურიგებლობა, შოვინიზმი, თვითმპყრობელური ტენდენციები. ჯარმა და უმთავრესად მის ხელმძღვანელმა უფროსობამ უნდა იცოდეს ისტორია და ზნეჩვეულება იმ ეროვნების, სადაც მას უხდება მუშაობა. სამხედრო ცენტრალიზაცია, სადაც მის გატარება აუცილებელია, ისე უნდა წარმოებდეს, რომ ადგილობრივი ხელმძღვანელი უნდა გრძნობდეს ამ ცენტრალიზაციის საქმიანობას და საჭიროებას. ყოველგვარი ადმინისტრატიული გადამეტება უნდა სასტიკათ გავაძეოთ. „არაკრეევშინას“ ნაშთი, თუგინდ „კომუნისტური“ იყოს, იგი უნდა ცეცხლითა და მახვილით ამოვგლიჯოთ.

ამ თვალსაზრისით უნდა მოვახდინოთ სამხედრო აპარატების გაწმენდა ეროვნულ რესპუბლიკებში. სამხედრო ადმინისტრატორები, კომისრები და უფროსები, რომელთაც ეროვნულ საკითხში გამოიჩინეს ბოროტი გრძნობები, გასამართლების შემდეგ უნდა გაძევებულ იქნან შავი ბილეთით. ჩვენი ჯარი დიდი რევოლიუციონური სკოლაა. იგი ეროვნულ საკითხშიაც სკოლათ უნდა გადაიქცეს.

უკეთ ვთქვათ: ჯარმა უნდა ასწავლოს პრაქტიკულ ცხოვრებაში როგორ შეიძლება საერთო ძმური შრომით სციალისტურ შენობის აგება.

---

## ახალი ამბები

— **სატარიფო განაკვეთების გაუქმება.**—საქართველოს მთავრობის განკარგულებით საქართველოში უქმდება სატარიფო განაკვეთები.

— **სამოქალაქო გადასახადი**—საქართველოს სახალხო ბანკის ცნობებით 22 მაისამდე შემოვიდა სამოქალაქო გადასახადი გაწერილი საქართველოს მოქალაქეებზე—77,085,000,000 მანეთი. მარტო ტფილისის მოქალაქეებს გადახდა 50 მილიარდი მანეთი.

— **პოლონელების რეგისტრაცია.** ქალაქ ტფილისის აღმასკომი აცნობებს პოლონეთის ქვეშევრდომ ყველა მოქალაქეებს, პოლონელ ლტოლვილებს მცხოვრებნი ქალაქ ტფილისში და მის მაზრაში, რომ თანახმად საქართველოს შინ. საქმეთა კომ. განკარგულებისა, ყველანი მოვალენი არიან სარეგისტრაციოთ გამოცხადდენ ტფილისის აღმასკომში საადმინისტრაციო განყოფილებაში—ყოფ. ველიამინის ქუჩა № 7.

— **მღვდლის დაპატიმრება**—ბათომში საგანგებო კომისიამ დააპატიმრა ყოფილ სამხედრო ტაძრის ღვდელი თოხაძე, რომელსაც ჩხრეკის დროს აღმოაჩნდა მიწაში ჩაფლული 20 გირვანქა საეკლესიო ვერცხლეულობა, წიგნები, საბუთები და სხ. დაატუსაღეს აგრეთვე ღვდელი თათარიშვილი, რომელსაც აღმოაჩნდა საბჭოთა ხელის უფლების წინააღმდეგ მიწერ-მოწერა.

— **მუშათა სახლის შეკეთება**—ქალაქის აღმასკომმა გადასდო 100 მილიონი მანეთი მშენდავთა მუშათა სახლის შესაკეთებლათ.

— **ექიმების ჯამაგირები**—ჯანმრთელობის განყოფილებამ აღძრა შუამდგომლობა ქალაქის აღმასკომის წინაშე მაზრაში საექიმო პერსონალისათვის ჯამაგირების დასაგზავნათ „არტელშჩიკის“ დანიშვნის შესახებ, ვინაიდან ჯამაგირების მისაღებათ საექიმო პერსონალი ჩამოდის ტფილისში, რაც იწვევს ხარჯებს და მასთან ცუდ გავლენას ახდენს მუშაობაზე. პრეზიდიუმმა [საჭიროდ] იცნო ფულის გადაგზავნა მაზრაში, ყველა თანამშრომლებზე საერთოდ ხდებოდეს ფოსტით. ამის შესახებ ამხ. ვანაძეს დაევალა გამართოს მოლაპარაკება ფოსტა-ტელეგრაფის სამმართველოსთან და მოაწყოს მაზრაში ფულების შეუბრკოლებლივ გადაგზავნის საქმე.

— **ბავშვთა სააავადმყოფო.** ტფილისის აღმასკომმა უარყო შუამდგომლობა ჯანმრთელობის სახალხო კომისრისა, რათა ბავშვების სააავადმყოფო დატოვებულ იქნას ბებუთოვის ქუჩაზე.

— **მოსე თოიძის სამხატვრო** სტუდიის გამოფენა გადატანილი რუსთველის თეატრის შენობაში გახსნილია 3 ივნისიდან. ღიაა დილის 10—2 საათამდე საღამოს 5—10 საათ.

---

## ქართველი უდინები

საქართველოს ისტორიული წარსული მწუხარეა ვით სუსხიანი ზამთრის პირი. ყოველ მხრიდან შეწუხებული საქართველო ებრძოდა მტერს, რომ შეენარჩუნებია სულიერი და ფიზიკური არსებობა, ამ დაუსრულებელ ბრძოლის პროცესში ბრწყინვალე დღეებიც ჰქონია მას, მაგრამ უმეტეს წილად მწარე. მცირე რიცხოვანი ქართველი ერი ალვსილი სამშობლო ქვეყნისადმი გულწრფელი სიყვარულით არ ერიდებოდა აზღვავებულ მტრის ლაშქარს და მამაცურად ებრძოდა მას, მაგრამ უთანასწორო ბრძოლის დროს ხშირად მარცხდებოდა იგი გამარჯვებული მტერი ფიზიკურად ანადგურებდა მას, აქუცმაცებდა მის ტერიტორიას და ასეთი დანაწილებით და არევით ისწრაფოდა ჩაეხშო ქართველებში მათი მთლიანობის და განუკვეთელ ეროვნულ ერთეულებრივი იდეა; ასეთივე ბედი არგუნა ისტორიის უკუღმა ბედის ტრიალმა ქართველ უდინებს განვლილ საუკუნოებმა. თითქო უნდა დავიწყებოდათ მათ საქართველო, მაგრამ არა, მისდამი სიყვარული და ხსოვნა იმდენად ინტენსიური აღმოჩნდა, რომ მათ მიატოვეს თავიანთი სახლკარი, ბაღები, ვენახები და მოაშურეს საქართველოს. ამ რამდენიმე თვის უკან ადერბეიჯანიდან გადმოსახლდა 60 კომლამდე ქართველი უდინები. ისინი დაბინავდენ კახეთში ალაზნის მარჯვენა ნაპირას; გადმოსახლება ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მომავალ წლიდან დანარჩენი ქართველი უდინებიც აპირობენ გადმოსახლებას. ქართველ უდინების გადმოსახლებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის ზინო სალიკაშვილს, თუ გავითვალისწინებთ დღევანდელ მძიმე პირობებს თქვენ წარმოიდგენთ ნათლად, თუ რამდენი ენერგია უნდა იყოს დაგროვილი ამ ადამიანის ბუნებაში, რომ მოეხერხებია ეს დიადი ისტორიული ფაქტი. სალამი უდინებს! კეთილი და ბედნიერი იყოს თქვენი ჩამოსახლება საქართველოში. ქართველი ერი სიხარულით შეეგებება თავიანთ ძმებს და აღმოუჩენს ზნეობრივ და მატერიალურ დახმარებას.

lado.

---

## ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება

(სქემატიური)

როგორც პირველ წერილში იყო აღნიშნული ქართული მუსიკალური საქმიანობა მიდუნებულია და ჩვენ ამის მიზეზად ვსახავდით იმ მოვლენას, რომ ქართველ მუსიკოსთ დაკისრებული აქვთ, უშუალო ქართულ მუსიკალურ საქმიანობის გარდა, სხვა მოვალეობებიც ეს არის: სახ. განათ. კომისარიატის მთავარ სახელოვნო კომიტეტის „მუზო“ I და II კონსერვატორიები.

ერთი თვალის გადავლებით ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქო ქართული მუსიკის განახლებისა და აღორძინების ხანისათვის ზემოაღნიშნულ გარემოებას განსაკუთრებით უნდა შეეწყო ხელი: არის სახელოვნო დარგი, დაწესებულებები, მათ სათავეში ქართველი მუსიკოსები არიან. ეს შესაძლებლობის მაქსიმუმად უნდა ჩაითვალოს, მაგრამ....

მაგარიც ის არის, რომ „ორ ძიძას შუა შვილი გამოიჭყლიტა“ და „უზიარებელი ღვდელი სხვას აზიარებს“.

„მუზო“, I და II კონსერვატორიები, ერთ და იმავე დროს, ქართულ მუსიკასთან ერთად,

მეპარჭულობას, ხელმძღვანელობას უწევენ, და კიდევაც ვალდებულნი არიან გაუწიონ საერთოდ მუსიკას რესპუბლიკაში. მაგრამ აქ შედარებით სისტემაშია საქმე.

ასე რომ, საწყალ ობოლის, ქართული მუსიკის, თავშესაფარად დარჩა ქართველ ხელოვანთა სასახლე, თავის მუსიკალური სექციით.

შესაძლებელია, ჩემი მახსოვრობა ვერ გამოდგეს სათანადო ღონიერი, მაგრამ მე მგონია, ვერც ხელოვანთა სასახლეში მოწყობილი საღამოებისა და კონცერტების მატიანე აღნიშნავს იქ გამართულ მოხსენებას და საქმეს მუსიკალურ დარგში.

ეს კი აუცილებელი და შესაძლებელი იყო მის განკარგულებაში მყოფ ძალების მიხედვით.

მხოლოდ ქართული გვარები ქართულ მუსიკას სრულიად არაფერს შემატებს ამ ჟამად. საჭირო მუშაობა სრული, დაულალავი. მხოლოდ არა ისეთი, როგორც წინეთ, არამედ ახალ პირობებში ჩაყენებული.

ჩვენი მიზნების განაღდება შესაძლებელია მხოლოდ მას შემდეგ, როცა თვით ქართველი ახალგაზრდა მუსიკოსები ორგანიზაციულად ისე იქნებიან შეკავშირებული, რომ შესძლებენ გაუმკლავდენ აღებულ ვალდებულებებს.

ორგანიზაციულად გამაგრება კი შესაძლებელია მაშინ, თუ თვით საზოგადოება იქნება პოპულიარული, მის მუშაობაში ჩაბმული ფართო მასები და მას არ ექნება ღალი განსაზღვნულ ნორმისა.

ამისათვის აუცილებელია ახლავე მოხდეს ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა მობილიზაცია მთელ საქართველოში: რესპუბლიკის არც ერთი ქალაქი ან დიდი დაბა არ უნდა დარჩეს ორგანიზაციის გარეშე საზოგადოების მორიგი ამოცანათ დასახული უნდა იქნას პროვინციებში ახალგაზრდა მუსიკოსთა შეკავშირება, ორგანიზაციულად ჩამოყალიბება, საზოგადოების განყოფილებაათა დაარსება.

ამით მიღწეული იქნება ორი მიზანი: ა) ფართო მასების მუშაობაში ჩაბმა და ბ) საქმიანობის ერთსახიანობა.

ამის გარეშე შეიძლება ისეთი მდგომარეობა შეიქმნეს, რომ საზოგადოების მუშაობა თბილისით შემოიფარგლოს და თბილისშივე ჩაკვდეს.

საერთოდ. ახალი საქმის დაწყებისას დიდი სიფრთხილეა საჭირო, რომ საქმიანობის სათავეში არ მოექცეს შემთხვევითი პირი. კარიერის სურვილით გატაცებული.

შესაძლებელია, ეს აზრი, საბედნიეროდ, ყოველთვის არ გამრთლდება, მაგრამ ისიც აშკარაა, რომ პროვინციებში ხშირად ორგანიზაციებში „ირჩევენ“ ისეთებს, რომელიც თბილისის ორგანიზაციას მოსწონს, მაგრამ იმავე დროს სრულიად არაფერს ეუბნებიან ადგილობრივ მომუშავეთ. ამას კი შედეგათ ის აქვს, რომ „არჩეულსა“ და ადგილობრივ მომუშავეთ შორის არ არის სათანადო ნდობა და პატივისცემა, არ არის მუშაობის სურვილი და ყოველგვარი ინიციატივაც საფუძველშივე ისპობა.

ეს დიდი ბოროტებაა ორგანიზაციისათვის, სახიფათო და ზიანის მომტანი. მუშაობის გასაცხოვლებლად აუცილებელია ასეთი მოვლენების მოსპობა.

ახალგაზრდა მუსიკოსთა კავშირიც უნდა ეცადოს ანგარიში გაუწიოს ამ გარემოებას და თავისუფლება მისცეს პროვინციას თავის ორგანიზაციის ჩამოყალიბებისას.

ცენტრი ვალდებულია საერთო ხელმძღვანელობა გაუწიოს პერიფერიებს, მისცეს დირექტივები, მიაწოდოს საჭირო მასალები და სხვ.

ეს საერთო ხელმძღვანელობა სასურველია იმ მხრივაც, რომ გააერთიანებს მუსიკალურ საქმიანობას, ამ ჟამად კი, შესაძლებელია ცენტრმა არ იცოდეს რას აკეთებს მაზრა და პირიქით.

მეორე ამოცანაა ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა კონფერენციის მოწვევა.

ამის შესახებ ბევრი მტკიცება არც არის საჭირო, რადგან ყველასათვის ნათელია ასეთი კონფერენციის აუცილებლობა თუ გინდ მთავარი ორგანოს ასარჩევად, ერთმანეთის გასაცნობლად, ინფორმაციისა და და მომავალი მუშაობის გასათვალისწინებლად (გაიხსენეთ ზემო აღნიშნული).

ჩვენ, პირადათ, დიდ იმედებს ვამყარებთ ამ კონფერენციაზე: ის უნდა შეიქმნეს გადამტეხ მომენტის მამოძრავებლად, ახალი ნაკადი შეიტანოს ქართულ მუსიკალურ საქმიანობაში.

ამ კონფერენციის მუშაობის გათვალისწინება არ შეადგენს ჩემი წერილის საგანს, მაგრამ ერთი კი უეჭვოა: ამ ყრილობაზე უნდა თვალი გადაევლოს ქართულ მუსიკალურ საქმიანობას დღემდის, და შემუშავდეს მომავალი მუშაობის გეგმა.

მე მგონი არ შევცდები თუ აღვნიშნავ, რომ ვერც ერთი მუსიკალური დაწესებულება დანამდვილებით ვერ განსაზღვრავს იმ მუშაობას, რომელსაც ადგილი აქვს პროვინციებში, რადგან ამ შემთხვევაში, ისინი მეტად დაშორებულნი არიან ერთი მეორედან.

ამ კონფერენციაზე ხმა მაღლა და გარკვევით უნდა ითქვას, რომ მუშაობის, ინიციატივის, საქმიანობის მოწესრიგების მხრივ—საქართველოში ბატონპატრონია ქართველ ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება.

ეს დიდი მიღწევა იქნება ქართულ მუსიკისათვის.

არავისათვის საწყენი არ უნდა იქნეს იმის თქმა, რომ ახლანდელმა ქართველმა მუსიკოსებმა თავისი ვალი მოიხადეს და მათ მაგიერ, რიგების გასაჯანსაღებლად წინ მიილტვის ახალგაზრდობა.

მათ დარჩათ საპატიო როლი: ამ ახალგაზრდობის განვითარება, გათვითცნობიერება.

მათი პირველი დათმობა უნდა გამოიხატოს ხელოვანთა სასახლესთან არსებულ მუსიკოსთა სექციის ახალგაზრდათათვის გადაცემა.

ახალგაზრდობა დიდი პატივისცემით ჩაიბარებს ამ საპასუხისმგებლო სადარაჯოს და ეცდება რაც შეიძლება ფართო მასშტაბი მადლობით გამოიყენოს მათი გამოცდილება, ცოდნა და უნარი.

ქართველთ ერთი სენი სჭირთ: თითოეულ მათგანს სურს აუცილებლად სარდლობა, ხოლო ჯარისკაცობას კი გაურბის. ყველას სურვილია კომპოზიტორი, პროფესორი გახდეს, ხოლო არავის—იმუშაოს სადმე პროვინციაში მუსიკალურ სასწავლებელში მასწავლებლად.

ამის გამო ხშირია ისეთი შემთხვევები, როცა ყველასათვის მოულოდნელად, (შეიძლება თავის თავისთვისაც) უცებ გაჩნდება კომპოზიტორი (უმეტეს შემთხვევაში ოპერის), მაგრამ რადგან ხელს არ უწყობს სათანადო მუსიკალური განათლება, ისევე უცებ გაქრება.

ასეთ მოვლენებს მთელი თავის ენერგიით უნდა ებრძოლოს ახალგაზრდა მუსიკოსთა საზოგადოება: მან მიზნად უნდა დაისახოს ახალგაზრდა ქართველ მუსიკოსთათვის კაპიტალური ცოდნის მიცემა და ამ დარგში და ამისათვის გამოიყენოს არსებული ძალები.

მიზნის მისაღწევად კი საჭიროა სკოლები (პირველ ხანებში თუ გინდ თვით ხელოვანთა სასახლესთან), სადაც სისტემატიურად წაიკითხება ლექციები საქართველოს კომპოზიტორების მიერ სხვა და სხვა თემებზე.

ამის განხორციელება არ არის ძნელი, რადგან დარწმუნებული ვარ, არ მოიძებნება არც ერთი მუსიკოსი, რომ ასეთი სიმპატიური საქმისათვის გასარჯელად რაიმე სასყიდელი მოითხოვოს. სარგებლობაც კი დიდს მოიტანს.

საჭიროა მომზადდეს მომავალისათვის მუსიკის მასწავლებლები (თეორია, სპეციალი), ორკესტრის დამკვრელები, ხოროში მონაწილენი, რომ, პირველ დაძახებისთანავე, ქართველი მუსიკოსთა კადრი მზად იქნეს შეუდგეს, პიროვნულად შეიძლება უს[...] ხელო, მაგრამ საერთო საქმისათვის სასახელო, მ[...] შაობას.

საგაზეთო წერილით მეტად ძნელია ყველა დეტალების გათვალისწინება. ... ექნება საზოგადოებაში. ჩვენ უფლებას ვიტოვებ[თ] მომავალში კიდევ რამოდენიმე სიტყვა ვსთქვათ მეტად სიმპატიურ საზოგადოების შესახებ, ამ ჟ[ა]მად კი ჩვენი სურვილია მხოლოდ გამართული ო[...] კონცერტით არ შემოფარგლოს საზოგადოების პრა[ქ]ტიკული მუშაობა.

**შალიკო ლეკვიაშვილი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

## პარტიაში

დღეს, იანვრის 5-ს საღ. 7 საათზე, ცენტ[რა]ლურ ბიუროში დანიშნულია რაიკომების წევრ[თა] სასწრაფო შეერთებული სხდომა. მოვალენი არ[იან] გამოცხადდენ ამხანაგები:

1. ხოფერია გრიშა.
2. სირაძე აკაკი.
3. თავზარაშვილი გიორგი.
4. ლასკარი გრიგოლ.
5. ბერძენიშვილი მაქსიმე.
6. სეფერთელაძე მირიან.
7. რატიანი დ.
8. უჯმაჯურიძე ნინო.
9. ქართველიშვილი შალვა.
10. კაციტაძე ალექსანდრე.

## საუბარი გლეხთან

**9. მრეწველობა, შეერთებული მიწად-მოქმედებასთან.**

ამ ჟამად საფრანგეთში მებოსტნეობას უჭირავს 400.000 დესეტინა და საშუალოთ იძლევა 890 მანეთს მოგებას დესეტინაზე. ბრეტანში არის ადგილი, 40 ვერსი სიგრძით და ამდენივე სიგანით, სადაც მცხოვრებნი მისდევენ მარტო მებოსტნეობას. მოყვანილს კართოფილს, ხახვს და მწვანილს ბრეტანელები ჰყიდიან ლონდონში და საზოგადოთ ინგლისის სხვადასხვა ქალაქებში და ნავთ-სადგურებში და დიდი მოგებაც აქვთ. გარდა ამისა 250.000 ფუთამდე მწვანილს ესენი პარიზშიაც აგზავნიან. ჰავა ბრეტანეთში თუმცა თბილია, მცხოვრებნი მაინც, საიდამაც ქარი იცის, აშენებენ მოდაბლო კედლებს და მოჰყავთ ზედ ლერწამი, რომ მით შეაკავონ ქარი და მით მეტი სითბო დაატრიალონ თავიანთ ბოსტნებში. ამ სახით, ნიადაგთან ერთად, ბრეტანელები ჰავასაც აუკეთესებენ. ქ. შერბურგის გარშემო კი ბოსტნეული მოჰყავთ იმ მიწაზე, რომელიც მცხოვრებლებმა წაართვეს ზღვას. აქ 300 დესეტინაზე მოჰყავთ კარტოფილი, 185-ზ[ე] ყვავილიანი კომბოსტო და 46-ზე—ბრიუსელის კ[ომ]ბოსტო. ბევრი მოჰყავთ აქ ადრეულა კართოფ[ილი] შუშაბანდებში, რის გამოც მოსავალს აქ უკვე [აპ]რილის ნახევარში აგზავნიან ლონდონში, ასე რ[ომ] შერბურგიდამ ყოველწლივ გააქვთ ინგლისში ო[...] მილიონ ფუთამდე სხვადასხვა მწვანილეული.

დიდი ადგილი უკავია ბოსტნებს თვით პა[რი]ზის გარშემო. იჯარა აქ აღწევს 6—12 ათას [მა]ნეთს დესეტინაზე. გასაკვირველია აქ უფრო ბაღ[...]ნობის წარმატება. მონტრელში, მაგალითად, [ბა]ღებს უჭირავს 300 დესეტინა, რომელიც ეკუთ[ვ]ნ[ის] 400 მებაღეს და დიდს ხეირსაც აძლევენ მათ. ა[მ]თი ბაღები სავსეა საგანგებოთ აშენებული კედ[ლე]ბით, რომელთ სიგრძე, ერთად რომ დავთვალ[ოთ] 600 ვერსამდე იქნება. ამ კედლების ძირებში [...]ნებენ შპალერებად ატმებს, მსხლებს და ყურძ[ენს] მოსავალი დიდი იცის, ასე რომ ყოველწლივ გაა[ქვთ] აქედან 12 მილიონი ატამი და აუარებელი მსხ[ალი] და ყურძენი. დესეტინა იძლევა ყოველწლივ 1[...]

## მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში

(საპასუხოდ)

**2. „კონკრეტიულ მაგალითების“ შესახებ**

ამხ. ამაღლობელი ჩემს შესახებ სწერს: „ამხ. სან-დონის წინააღმდეგ ბრძოლა მეტად ძნელია; რადგან მიუხედავად იმისა, რომ იგი, „კონკრეტიული მაგალითების“ მეთოდით ხელმძღვანელობს, მაინც ზოგადი დებულებების მსჯელობას მკითხველი, რომელიც გაცნობილი არის ჩემს „შენიშვნებთან“. ასეთი განცხადების მოსმენით აუცილებლად გაკვირვებული დარჩება: ჩემ მიერ არ არის წამოყენებული არც ერთი დებულება, რომელიც იქვე არ იყოს „კონკრეტიული მაგალითებით“ გამაგრებული, ჩემი ოპონენტი გლეჯს ჩემი წერილიდან ადგილებს, აცლის მას თავსა და ბოლოს, უმთავრესად განმარტებებს. და გაიძახის:.... შეუძლებელია რაიმე გარკვეული შინაარსის მოთავსება ამ ფართო ფრაზებში“. ასეთი „ხერხიანი“ საშუალებით, რასაკვირველია, ძნელი იქნება მოწინააღმდეგის გაგება.

მაგრამ, თუ რამდენად ძნელი არის თვით ამხ. ამაღლობელის წინააღმდეგ ბრძოლა, ამას შემდეგ ფაქტიდან დავინახავთ: როგორც მკითხველი ჩემი წერილიდან დაინახავდა, მე ვამბობდი, რომ მარქს-ენგელსის ნაწერები ეროვნული საკითხის შესახებ „ძვირფას მასალას წარმოადგენს ეროვნული საკითხის სწორად დაყენებისათვის“ **გაკვრით** ვეხებოდი მარქს-ენგელსის **პოლიტიკას** ეროვნულ საკითხში,—მომყავდა ირლანდიის, პოლონეთის და ელზას-ლორენის შესახებ მათი პროგრამა და დავასკვნიდი, რომ „ეს არის ნიმუში საღი და სწორი ხაზის ეროვნულ საკითხში“. როგორც უნდა გაიმართლოს ამ შეხედულების მოწინააღმდეგემ ჩემი დასკვნები? მან უნდა შეისწავლოს ეს ისტორიული პერიოდი, რომლის შესახებაც სწერდენ მარქს-ენგელსი, და დაამტკიცოს ფაქტებით ხელში. რომ ამ პერიოდში სრულებით არ იყო მარქს-ენგელსის მიერ გაგებული და დაყენებული სწორად ეროვნული საკითხი, რომ მათ ირლანდია-პოლონეთ ელზას-ლორენის ნაციონალური ინტერესების ვერაფერი გაიგეს. და ამიტომ საკითხიც ყალბად დააყენეს, ამის შემდეგ ოპონენტს უფლება ეძლევა დასვას საკითხი, თუ რატომ ვერ დააყენეს აღნიშნულ ერების საკითხი, განსაზღვრულ პერიოდში სწორი და ეძიოს მარქს-ენგელსის მსოფლმხედველობაში ამის მიზეზი ასეთი მიდგომით საკითხი გარკვეულ კალაპოტში დგება და ლოღიკას თავის ძალაში რჩება. ნაცვლად ასეთი მეთოდისა. ამხ. ამაღლობელმა სულ სხვა ხერხს მიჰმართა, იგი არ ახდენს ამ ფაქტების ანალიზს, მაგრამ რიხით აღნიშნავს, რომ მარქსის სისტემა არ სცნობს ეროვნულ საკითხს, როგორ დამოკიდებულ ფაქტორს და... სტალინისა და ლენინის პოლიტიკის მაგალითი „აბათილებს“ ჩემს დასკვნებს. ჩემი ოპონენტი სწერს: „ჩვენ გვინდა ვკითხოთ ამხ. სან-დონს: მისთვის „საღად და სწორად“ არის მიჩნეული ამხ. ლენინის ელენტალიზმი და „სოციალიზმის მიზანი“ ერთა შეერთება? ან და მისაღებია მისთვის ერთა დამოკიდებულება, როგორც საშუალება სრული გაერთიანებისა?“ ამხ. ამაღლობელს „კონკრეტიულ მაგალითების“ მეთოდის უარყოფამ იმდენად დაუბნია გზა-კვალი, რომ მისთვის აღარ არსებობს არც დრო და სივრცე. არც სხვა და სხვა პიროვნებანი, არც სხვა და სხვა ეპოქები და პერიოდები, მან წაშალა ყოველივე საზღვრები ამ მოვლენათა მასის და აღარ იცის საკითხს როგორ მიუდგეს. მარქს-ენგელსი სწერდა განსაზღვრულს პერიოდში გარკვეულ ერებისათვის, ეს მე ჩავთვალე ნიმუშად ეროვნული საკითხის საღი და სწორი დაყენებისათვის, ამ დასკვნებისათვის ამხ. ამაღლობელი მე პასუხს მაგებინებს არა მარქს-ენგელსის მაგალითებთან, არამედ მისი მიმდევრების სტალინის რომელიც სხვა პირობებში სწერდა და სხვა კონკრეტიული მაგალითი აქვს მხედველობაში და ლენინის, რომელიც სოციალისტურ ეპოქაზე სწერს. ეს არის კამათი? არა ეს არის აშკარა დამახინჯება ლოღიკისა და ფაქტების, ასეთს ოპონენტს მართლაც ძნელი არისკამათის გამართვა.

ამხ, ამაღლობელი იკითხავს დებულებებს და შემდეგ მაწერს მე; ამის შემდეგ კმაყოფილებით გაჰკივის: „რომ (სან-დონს) სურს მარქს ათქმევინოს ის, რაც მარქსს არასოდეს არ უთქვამს“. მე ვთხოვ ჩემს ოპონენტს თუ მართლა სურს მას სერიოზული კამათი და მართლა დაინტერესებული არის საკითხის გამორკვევით **მოახევინოს ადგილები ჩემი წერილიდან სისწორით, თუ რა ვათქმევინე მე მარქს. და შემდეგ დაამტკიცოს, რომ ის რასაც მე ვათქმევინებ მარქსს, ის მას (მარქსს) არასოდეს არ უთქვამს.** წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვერასოდეს ვერ ასცდება დემაგოგის როლში გამოსვლას.

მაგრამ ჩემი ოპონენტის „მოხერხებული მეთოდები“ მარტო ამით არ თავდება. მან კარგად იცის, რომ ამხ. სან-დონი წინააღმდეგი არის „ერთა შეერთების“, რომ ამხ. ლენინის ზემოდ აღნიშნული აზრის შესახებ, რომელიც ერთ ერთ მუხლად იყო ცოტა შესწორებულად შეტანილი კომინტერნის 2-რე კონგრესის რეზოლიუციაში ეროვნული საკითხის შესახებ, ამავე სან-დონმა თავის რეზოლიუციაში, ინტერნაციონალიზ. შესახებ რომელიც წარადგინა ჩვენი პარტიის პირველ ყრილობაზე (1921 წ.: შეიტანა და დაიცვა შემდეგი მუხლი: „ყრილობას საჭიროდ მიაჩნია აღნიშნოს, რომ მე 3-ე ინტერნაციონალს ფედერაცია მიაჩნია გარდამავალ ფორმად ყველა ერების მშრომელთა სრულ მთლიანობის შესაქმნელად, **რაც მიუღებელია სოციალიზმ-ფედერალიზმისათვის**“. ამხ. ამაღლობელმა იცის, რომ სან-დონი ერების თამოუკიდებლობას იცავს და მათ შორის კავშირი კონფედერაციის საფუძვლებზე მიაჩნია მისაღებად, რაც არა ერთხელ დაცული იყო მის წერილებსა და მოხსენებებში; მიუხედავათ ამისა ამხ. ამაღლობელი ყოველივე თავდაყირად ატრიალებს და მკითხველს ისე უჩვენებს თითქოს მე მეთქვას „საღი და სწორა“ „ერთა შეერთებაო“. იგი სწერს: „თუ ამ კითხვას („ერთა შეერთებას“) ამხ. სან-დონი დადებითად უპასუხებს ამით დაამტკიცებს, რამდენად დაშორებულია სოციალ-ფედერალიზმის პრინციპებს“. ამ შეკითხვით ამხ. ამაღლობელმა მხოლოდ ერთი დაამტკიცა: თუ რამდენად დაშორებულია იგი მიუდგომელსა და საღ მსჯელობას.

ყოველივე მხოლოდ ეს იმისთვის არ მომიყვანია, რომ აღმედგინა სიმართლე: მკითხველმა უნდა იცოდეს, თუ როგორ ოპონენტთან გვაქვს საქმე და როგორ ხერხს მიმართავს იგი კამათის დროს.

ჩემი ოპონენტი სერიოზული კილოთი გვიმტკიცებს, რომ „კონკრეტიულ მაგალითების მიხედვით“ არ შეიძლება მსჯელობა და თუ ამ მეტოდით შევაფასებთ ამა თუ იმ პოლიტიკურ მოაზროვნეს, ჩვენ მეტად კურიოზულ შედეგებს მივიღებთო. არსად მე არ მითქვამს, რომ **მხოლოდ** ამ მეტოდით შევაფასოთ რომელიმე პოლიტიკური მოღვაწის მსოფლ-მხედველობა; და არც მარქს-ენგელსის **სრულს** დახასიათებას შევდგომივართ **იმ პირველ შენიშვნებში** ეროვნულ საკითხის გაგებაში: ჩვენ ვეხებოდით მარქს-ენგელსის **მხოლოდ** პოლიტიკას და ისიც გაკვრით კონკრეტიულ-ისტორიულ მაგალითების მიხედვით. მაგრამ განა შეიძლება პოლიტიკური მოღვაწის, რევოლიუციონერის დასახასიათებლად ჩვენ მხოლოდ მის მსოფლ-მხედველობას დავეყრდნოთ და მასთანვე არ მივიღოთ მხედველობაში მისი პრაქტიკული პოლიტიკის პროგრამა, მისი რეალური მოღვაწეობა? საკითხის ასე დაყენება მართლა გაზოლისტური იქნება და ვე მოგვცემს პოლიტიკური მოღვაწის სრულს დახასიათებას. ლენინსა და ლენინიზმს დღეს უმთავრესად იმით კი არ ახასიათებენ, რომ იგი მატერიალისტია და გარკვეულ ფილოსოფიურ-სოციალისტური მსოფლ-მხედველობის მატარებელი, ამას მეტად მცირე ადგ[ილი] უჭირავს ლენინს, როგორც რევოლიუციონერის პოლიტიკური მოღვაწის დახასიათებაში, არამედ პრაქტიკულ პოლიტიკის პროგრამით, იმ სამოღ[ვა]წეო პლატფორმის და რეალური ნაბიჯებით, [რო]მელსაც აყენებს და მიმართავს ეს პიროვნ[ება] გამოაცალეთ ხელიდან ლენინს ეს პროგრამა, პოლიტიკური ნაბიჯები, მთელი მისი სამოღვა[წეო] პლატფორმა და თქვენ ლენინზმს ველარ გაიგ[ებთ] თქვენ შეგრჩებათ ხელში მატერიალისტური მსო[ფლ]მხედველობის მატარებელი პიროვნება, რომ[ელიც] მოთავსება თავისუფლად შეიძლება ვანდერველ[დის] კაუცკისა და ნოსკეს გვერდით. მაგრამ ეს ხომ ნამდვილის დამახინჯება იქნება, ეს ხომ დამა[ხინ]ჯება იქნება ლენინის მთელ მოღვაწეობისა? ამ [მა]გალითიდან მკითხველი ნათლად დაინახავს, როგორი ყალბი მიდგომა იქნება, მხოლოდ მსო[ფლ]მხედველობის მიხედვით ახასიათოთ ესა თუ ის [პო]ლიტიკური მოღვაწე.

შეიძლება მეორე მაგალითიც: რა რეალ[ური] ღირებულება ექნება ისეთ მოღვაწეს, რომელიც [თა]ვის მსოფლ-მხედველობაში და თეორიებში უარყოფს ერსა და ეროვნულ საკითხს, მაგრამ პ[რაქ]ტიკულად არავითარ ნაბიჯებს არ დგამს, არ ი[...]ვა პრაქტიკულ პოლიტიკის პროგრამას. ან ვსთ[ქვათ] აყენებს შემდეგ დებულებას: დამყარდება სო[ცია]ლიზმი და ეროვნული საკითხიც გადაწყდებაო. [ასეთ] მოღვაწეს არქეოლოგიურ საზოგადოებაში [უნდა ჰ]ქონდეს ადგილი, სადაც წარსული ისტორიის [...]ნიერი ნიმუშები ინახება, და არა ცხოვრების ბოქრებულ ზღვაში და მომქმედ პოლიტიკურ [მოღ]ვაწეთა შორის.

ამ მაგალითებიდან განა ნათელი არ [არის] თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს პოლიტიკურ [მოღ]ვაწისა და რევოლიუციონერის დასახასიათებ[ლად] იმ პრაქტიკულ პროგრამას, რომელსაც ის აყ[ენებს] ამა თუ იმ ისტორიულ პერიოდში, იმ ნაბი[ჯებს] რომელსაც ის სდგამს ამა თუ იმ კითხვის გად[აწ]ყვეტად.

ამ მსჯელობიდან ჩვენ შეგვიძლია შემ[დეგი] დასკვნა გამოვიტანოთ: პიროვნების და პარ[ტიის] დასახასიათებლად თქვენ შეგიძლიათ მიმარ[თოთ] 1) მის მსოფლ-მხედველობისა და პრაქტიკულ [პო]ლიტიკის ერთად დახასიათებას, ან 2) მსო[ფლ]მხედველობის გამორკვევას, ან 3) მხოლოდ [პრაქ]ტიკულ პოლიტიკისა და გარკვეულ ისტორიულ [პე]რიოდში წამოყენებულ პროგრამის, პლატფო[რმის] დახასიათებას. უკანასკნელ შემთხვევაში [...] იღებთ მხოლოდ მნიშვნელოვან-ელემენტების [...]ვაწის დახასიათებისათვის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

...ნეთს წმინდა მოგებას. ასე და ამ გვარად ჰქმნიდნენ ხელოვნურ ჰავას მაშინ, როცა ჯერ კიდევ არ იცოდნენ სათბულების კეთება. სულ სხვაა ახლა: მინდვრები მოფენილია შუშა-ბანდით და რა გინდა, სულო და გულო, რომ აქ არ იზრდებოდეს! აქ არის ერთი ადგილი, ზომით 400 დესეტინა, რომელიც მორგულია მარტო ატმის ხეებით და აუარებელს მოსავალსაც აძლევს თავის პატრონებს. აქვეა ერთი პატარა სოფელი, ბენუკერი, 850 მცხოვრებით, რომელიც პირდაპირ გასაკვირველი მაგალითია იმისა, თუ რა შეუძლიან გააკეთოს კაცმა თვით უმწირეს მიწაზე. სულ რამდენიმე წლის წინეთ, ბენუკერის სერებიდამ ილებდნენ მარტო ქვას პარიზის ქუჩების მოსაკირცხლავად, ახლა კი ეს ადგილები მთლად გარგარით, ალუბლით, შავი მოცვით და მათს შუა კიდევ სხვადასხვა საბოსტნე მცენარეებით არის გაჭედილი. ჩვენ შეგვეძლო მთელი წიგნი გაგვევსო ასეთი არაჩვეულებრივი მაგალითებით, მაგრამ მოვიყვან მისაბაძად კიდევ მხოლოდ ერთს მაგალითს. საფრანგეთში არის ერთი მდინარე, რომელსაც რონა ეწოდება. ამ მდინრის ხეობაში 1870 წლამდე გაშენებული იყო ვენახები, მაგრამ ფილოქსერამ იგინი ძირ-ფესვიანად ამოახმო. მაშინ მცხოვრებლებმა ხელი მიჰყვეს ბაღოსნობას და სულ მცირე ხანში, მთელი ეს ხეობა, 150 ვერსზე, ერთ გაუთავებელ ბაღად აქციეს.

ხეხილს რგავენ აქ თვით გზების ორივე პირას და თვით სალ კლდეებზედაც კი, ხოლო მათ შუა რგავენ მარწყვსა და სხვადასხვა საბოსტნე მცენარეებსა, რის გამოც აქ მუდამ დიდი მოძრაობაა და მთელი ურმებით თუ ფურგუნებით გააქვთ აქედან ხილი და ბოსტნეული თვით უშორეს ქალაქებშიაც კი. მაგალითისთვის საკმაოა ვსთქვათ, რომ მარტო ერთი პატარა სოფლიდამ ყოველ დღე აგზავნიან თავის ბაღებიდამ 24 ათას ფუთს ალუბალს. ყვავილები გააქვთ 4 მილიონისა და ადგილობრივაც აკეთებენ სხვადასხვა ნელსაცხებლებს სამი მილიონისას... ვისაც ჰსურს სავსებით გაიცნოს ბაღოსნობისა და მებოსტნეობის განვითარება საფრანგეთში, ვურჩევთ წაიკითხოს ბალტეს წიგნი მათს შესახებ, ჩვენ კი გადვიდეთ ამავე საგნების ცნობებზე ბელგიასა და ამერიკაში.

1880 წლიდან ბოსტნეულის გატანა ბელგიიდან ერთი-ორად გაიზარდა. საქმე იქამდე განვითარდა, რომ ინგლისის ერთი საზოგადოება უფასოდ ურიგებს ბელგიის მებოსტნეებს იმ მწვანილის თესლებს, რომლებიც უყვართ ინგლისელებს. ბელგიაში ამ მიზნით ხნავენ, აუკეთესებენ რაც კი სადმე ქვიშნარები და ჭაობები მოიპოვება. მთელი ასი დესეტინები დაკავებულია აქ ბოსტნებსა და ბაღებს ქვეშ. მრავლად არის აქ ბაღოსნობისა და მებოსტნეობის სკოლებიც, რომლებიც სავსეა ახალგაზრდა მშრომლებით და სწავლობენ ბაღოსნობა-მებოსტნეობას. ამათი წყალობაა, რომ აქ საათობით იზრდება ბაღოსნობა და მებოსტნეობა,

ზოგიერთ ადგილებში ქერსა და სტაფილოს ერთად სთესენ და როცა ქერს მომკიან, სტაფილოს ცალკე უვლიან და მშვენიერს მოსავალსაც ღებულობენ. მიწისჭირა აქ 600—700 მანეთია დესეტინაზე, არა ყურძნისა და ნესვის მოსაყვანად, არამედ უბრალო ხახვისთვინაც კი. ბევრგან მებაღეები და მებოსტნეები არ კმაყოფილდებიან ბუნებრივი მიწით და აკეთებენ საკუთარ, ხელოვნურ მიწებს, რის გამოც მოსავალი ყოველ წლივ კარგი და მოუცდენლად მოსდით. მოკლედ: პატარა ბელგია, რომელშიაც 7 მილიონი მცხოვრები ითვლება, და პირველი სამრეწველო ქვეყანაა მთელს ევროპაში, ამ ჟამად შეიქმნა უპირველეს ცენტრადაც ბაღოსნობისა და მებოსტნეობისა!..

გადავიდეთ ახლა ამერიკაზე. როცა ხედავ, რომ ამერიკიდამ შემოდის უამრავი გორები ყოველგვარი ხილისა, იფიქრებ, რომ ხილი იქ გაურჯელად და თავის თავად მოდისო. „სასწაულებრივი ჰავა“, „ჯერ ხელუხლებელი მიწა“ და „თვალგაუწვდენელი მინდვრები“,—აი, როგორ ასწერენ ამერიკის ევროპის გაზეთები. მაგრამ აქ სიმართლე **მარტო** ის არ არის, რომ ბაღოსნობა, მებოსტნეობა და საზოგადოდ მიწად-მოქმედება ამერიკაში თვით კაცისაგან არის უმაღლეს განვით-რებამდე აყვანილი და არა გაურჯელად ყველაფრის მომცემ მიწისა და ჰავისაგან. და მართლაც, თუ კანადაში უმაღლეს ხარისხამდე მიაღწია **ვაშლის** კულტურამ, ამაში სავსებით უნდა ვუმადლოდეთ იმ დახმარებას და ხელის შეწყობას, რომელსაც აძლევენ ადგილობრივ მებაღეებს და მებოსტნეებს კანადას სახელმწიფო საცდელი მინდვრები და სანერგეები. ინგლისში რომ მეათედი ყურადღება მაინც მიექციათ თავიანთ მიწად-მოქმედებისათვის, მათი ხილი და სხვა გამოსავალი თამამად გაუწევდა ქიშპობას ამერიკიდამ მოსულს ხილსა. მაგრამ ინგლისელები აქამომდე გაურბოდნენ მიწას და ამას იქით კი არის ნიშნები, რომ ესენიც ჰკვაზვ მოვიდნენ და უდიდესი ყურადღება მიაქციეს ახალს მეურნეობას, რომელიც ცდილობს ისე შექმნას მცენარეებისათვის **ხელოვნური ჰავა**, როგორც ხელოვნურ მიწის შექმნაზე ვწერდით წინა წერილებში.

წინა დროებში სათბულები შეადგენდა მხოლოდ მდიდარ მემამულეთა კუთვნილებას. მათში ღუმელთა შემწეობით აყენებდნენ ტროპიკულ სათბოს და მოჰყვანდათ ის ხილი და ყვავილები თუ მცენარეები, რომლებიც ტროპიკებში პირდაპირ ღია ჰაერზე მოდის. ტეხნიკამ თავის მხრით დიდათ შეუწყო ხელი ასეთს სასათბულო მეურნეობას იმით, რომ მისცა იაფი შუშა და ხის ნაწილების ადვილათ დასამუშავებელი იარაღები. სათბულებს აშენებენ ორ-ნაირს: 1) **თბილს**, რომელსაც ათბობენ მხოლოდ ზამთარში ორი თვის განმავლობაში და 2) **ცივს**, რომელსაც სრულიად არ ათბობენ ღუმლებით, არამედ უიმისოდაც კარგად თბება მზის სხივებით, რადგანაც შუშა უშვებს სათბულებში სითბოსა, ხოლო იქიდამ კი ველარ გამოდის და ამიტომ უცეცხლოთაც კარგად მოდის მასში ყოველგვარი ადრეულა მცენარე. ასეთი სათბულები ახლა ძალიან ვრცელდება ევროპასა და ამერიკაში. 1851 წელს რივერსმა გამოსცა ინგლისში წიგნი სათაურით: „სათბულები და ხეხილის გაზრდა ქილებში და შუშაბანდებშიო“, ხოლო 1889 წელს ვინმე ტომ სონი იწერებოდა შემდეგს: 50 წლის წინეთ ჩრდილო ინგლისში ვილაც მებაღე ჰყიდდა გირვანქა ყურძენს 12 მანეთად თებერვალში და ნაწილსაც აგზავნიდა პარიზში ნაპოლეონის სუფრისთვის გირვანქას 24 მანეთადაო. ახლა კი, განაგრძობს იგივე ტომსონი. ყურძენი იყიდება ათჯერ და ოცჯერ უფრო იაფათ, ვიდრე მაშინ იყიდებოდაო.—„იაფი ნახშირი—აი მთელი საიდუმლოება ყურძნისაო“!

ეს იყო და ეს, რომ წლისპირულად გავრცელდა ყველგან სათბულების ხმარება, [illegible] ბრიტნებში...

**ივ. როსტომაშვილი.**

# დიდი პოეტის საფლავთან

გული გიკვდებათ, როდესაც უცქერით, მოუვლელ და მივიწყებულ სამარეებს იმ დიდ პიროვნებათა, რომელთაც მთელი თავიანთი სიცოცხლე ხალხსა და ქვეყანას შეალიეს, თავიანთი ნიჭი, ცოდნა სამშობლო მწერლობის აყვავებას შესწირეს. უცქერით მათ სამარეს ასე გავერანებულს და გული გიკვდებათ, თავს ეკითხებით: ნუ თუ ეს იმ დიდი პოეტის სამარეა, რომელსაც ერმა უგვირგვინო მეფე უწოდა და არაჩვეულებრივი დიდებით დაასაფლავა? მაშ ჩვეულებრივი წუთიერი ალტყინება ყოფილა ყოველივე ის, რაც მასზე ითქვა, თორემ ასე რომ არ იყოს, ხომ არც ასე უპატრონოდ იქნებოდა მისი სამარე მიტოვებული, რომელსაც ყვავილების ნაცვლად კლდის ლორღი და ნაგავი ჰფარავს! კულტურულ ერისთვის ეს დაუშვებელია და აკაკის სახელს ეს არ ეკადრება.

აკაკის მგზნებარე გული ხალხისადმი უნაზესი სიყვარულით იფერფლებოდა, სამშობლოს ტურფა ბუნებას უგალობდა: „ცა ფირუზ ხმელეთ ზურმუხტო ჩემო სამშობლო მხარეო. სნეული დავბრუნებულვარ, მკურნალად შემეყარეო! გულში იფეთქა სიამემ, სევდები უკუ ვყარეო, ია და ვარდი დამჭკნარი ხელ-ახლად გამიხარეო“. და განა მისი ია და ვარდი ჩვენი ქვეყნის თავისუფლების ებლემა არ იყო, რომელსაც პოეტი მთელი თავისი სიცოცხლე შესტრფოდა და წინასწარმეტყველურად სჭვრეტდა მას.

დიახ, პოეტო! შენი სამშობლო თავისუფალია მის წიაღზედ უხვად იფურჩქნებიან ია და ვარდნი, მაგრამ შენს საფლავს კი არ ამკობს მათი სილამაზე!

ვ. ბ.

# პროვინციაში

**წერილი პროვინციიდან.**

გასულ წელს გაზ. „ტრიბუნა“-ში მოვათავსებული წერილი მეეტლების უსაზღვრო ალვირ ახსნილობაზე: მგზავრების—განსაკუთრებით კი, მშრომელი ხალხის (სპეკულიანტებს რა უჭირთ) ტყავის გაძრობის შესახებ მეეტლების მიერ.

გვეგონა, რომ ამ წერილის შემდეგ მაინც მიაქცევდა ამ გარემოებას ყურადღებას ახალციხის აღმასრულებელი კომიტეტი და ერთხელ და სამუდამოთ ლაგამს ამოსდებდა უსაზღვროთ მადა გაღვიძებულ მეეტლებს, რომლებიც მოქმედებენ ახალციხე - ბორჯომ - აბასთუმან - ახალქალაქის ფარგლებში.

მაგრამ... ჩვენდა სამწუხაროთ ახალციხის აღმასრულებელი კომიტეტის მხრით აგერ მეორე წელია არ სჩანს არავითარი ღონისძიება.

ახლა მაინც დროა ახალციხის აღმასკომმა გამოიღვიძოს, მიიხედ-მოიხედოს და დაინახოს, თუ რა ხდება მის ცხვირ წინ...

როგორც წინეთ აღვნიშნეთ, ახალციხიდან ბორჯომისაკენ, ისე ბორჯომიდან ახალციხისაკენ მიმავალ მგზავრებს მეეტლები ახდევინებენ საფასურს თანახმად თავიანთ მადა გაღვიძებულ სურვილისა, ავეჯისასაც ცალკე ახდევინებენ.

არავითარი ნიხრი არ არსებობს, თუმცა ახალციხეში არსებობს ე. წ. მეეტლეთა კავშირი, რომელიც არსებობს მხოლოდ ქაღალდზე. (მიმოსვლა ბორჯომიდან ახალციხემდე წარმოებს ეტლით ან ავტომობილით, ვინაიდან ამ ფარგლებში რკინის გზა არ არის).

ბორჯომის სადგურს მოადგება თუ არა მატარებელი, იმ წამსვე დაერევიან მეეტლეები მგზავრებს და ურიგდებიან ახალციხეში წასაყვანათ.

---

ჩემს წერილში („მარქს-ენგელსი ნაციონალური საკითხის შესახებ“) მე შევეხე მარქს-ენგელსის **მხოლოდ პოლიტიკას** ეროვნულ საკითხში, და ისიც კონკრეტიულ მაგალითებით დავახასიათო. კაზიფისტურია ჩემი მიდგომა და დასკვნები? სრულებითაც არა, ასეთი მიდგომის უფლება მე მქონ და, ეს არ ეწინააღმდეგება საღ მსჯელობას და ლოღიკას, ამის უარყოფა მხოლოდ „მაღალი მატერიებით“ მოსაუბრე სუბიექტებს შეუძლიათ.

მაგრამ ასეთს მიდგომას უაღრესად პრაქტიკული და პოლიტიკური მნიშვნელობა აქვს. მარქსის ზოგიერთი მიმდევრები და მისი მოწინააღმდეგენი ამტკიცებდენ, რომ მარქსს არ ქონდა არავითარი პოლიტიკა, პრაქტიკული ხაზი ეროვნულ საკითხისო. ისტორიულად ეს მტკნარი სიცრუეა და დოკუმენტალურად მტკიცდება. რომ იმ პერიოდში, როდესაც მარქს-ენგელსი მოღვაწეობენ მათ ქონდათ ამ ეპოქის შესაფერისი და თითქმის სავსებით მისაღები პროგრამა ეროვნულ საკითხში, ქონდა შემუშავებული პლატფორმა, რომელიც მიზანშეწონილად სწყვეტდა იმ პერიოდში რეალურად წამოყენებულ ეროვნულ საკითხს, სხვა და სხვა ერთა მოთხოვნილებებს. წერის მხრით მოთხოვნა დანაწილებულ ერების გაერთიანებისა, (გერმანეთის, პოლონეთის) და მეორეს მხრით,—დამოუკიდებლობის მოთხოვნა ირლანდიის, პოლონეთის, ჰუნგრეთის, ბრძოლა ყოველგვარ ნაციონალურ-ტერიტორიების ანექსიის წინააღმდეგ—ესე იგი მათი პოლიტიკის შინაარსი ეროვნულ საკითხში. (ამაზე უფრო ვრცლად ქვევით). მარქს-ენგელსი ამ პროგრამას იცავდენ არა მარტო წერილებსა მიტინგებსა და უბრალო პარტიულ ორგანიზაციებში, არამედ ინტერნაციონალის საბჭოშიც. ამ კითხვებს უფარდებდენ ისინი მაშინდელ საერთაშორისო ცხოვრების მიმდინარეობასა და მომენტებს.

მაგრამ საკითხის ამ რიგად დაყენებას სხვა დიდი პრაქტიკული და პოლიტიკური ღირებულება ქონდა. რას შეიცავს თავის თავად ეროვნული საკითხი? ეს კითხვა ეხება უმთავრესად თავისი პოლიტიკური შინაარსით ერის ცხოვრების მოწესრიგების საქმეს. როგორ ფორმებში უნდა ჩამოყალიბდეს რაიმე ცხოვრება, როგორ უნდა შეიქმნეს პირობები მისი აყვავებისა და წარმატებისათვის. ეს კითხვები შეადგენს პრაქტიკულ პოლიტიკის საგანს: პრაქტიკულ პოლიტიკას კი უმთავრესად კონკრეტულ სინამდვილესთან, რეალურ ფაქტებთან და ცხალ მოვლენებთან აქვს საქმე და არა აბსტრაქციის სიცივეში გაყინულ იდეებთან. ასეთს შემთხვევაში პოლიტიკა არკვევს ობიექტურ გარემოების შინაარსს, ერთა მოთხოვნილებებსა და საჭიროებას, შეფარდებით საერთო მიმდინარეობასთან და შესაძლებლობასთან, იმუშავებს გარკვეულ პროგრამას ერთა ცხოვრების მოსაწესრიებლად. ჩვენთვის უაღრესად სადღეისო პრაქტიკული და არსებითი პოლიტიკური ღირებულება ჰქონდა იმას, თუ როგორ აყენებდა კონკრეტიულ მაგალითების მიხედვით ეროვნულ საკითხს მარქს-ენგელსი, როგორ პროგრამას იცავენ ირლანდიის, პოლონეთის, ელზას-ლოტრენისათვის ისინი, რომ შემდეგ ანალოგიებისა და პოლიტიკურ შედარებებით სადღეისო პოლიტიკურ დასკვნაში გამოგვეტანა და მიგვეთითებინა ზოგიერთებისათვის თუ რამდენად ამახინჯებენ ისინი მათი მასწავლებლის, მარქს-ენგელსის ეროვნულ პროგრამას.

ამხ. ამაღლობელი ვერ ხედავს ამ მეტად მნიშვნელოვან პოლიტიკურ სადღეისო კითხვებს, ვერ ერკვევა იმაში, თუ რისთვის მივუდექი მე ასეთი პოლიტიკის საზომით მარქს-ენგელსის დახასიათებას, და როგორც შეშვენის ნამდვილ მეოცნებე ინტელიგენტის სიმძიმის ცენტრი გადააქვს—თეორიულ და განყენებულ კითხვებში, მთელი მარქსისტულ მსოფლმხედველობისა და სისტემის დახასიათებაში. ცოტა ქვევით მე მკითხველს დავანახვებ, რომ მან ამ მხრივაც მხოლოდ საკითხი დააყენა და ვერავითარი გარკვეული პასუხი ვერ მოგვცა, ვერ სთქვა თუ როგორ უყურებს მარქსი ერს, ეროვნებას, ეროვნულ საკითხს. ეს კი აუცილებლად საჭირო იყო პრაქტიკულ პოლიტიკის გამოსარკვევად ეროვნულ საკითხში, განსაკუთრებით იმათთვის, ვინც ამ საკითხში პრაქტიკულ პოლიტიკას მარქსიზმის მთელს მსოფლმხეოველობასა და სისტემას უკავშირებს..

უარყო რა ამხ. ამაღლობელმა „კონსერვატიული მაგალითების მეთოდი“. (ეს ადგილი ამაღლობელმა ჩემი ერთი წინადადებიდან ამოიღო, სადაც ვამბობდი: იგი (წერილი) „საუცხოვოდ ახასიათებს მარქსის პოლიტიკას კონკრეტიულ მაგალითების მიხედვით ეროვნულ საკითხში“) ხელ-აღებით, თავისებურად „ოპტომ“, თვით ამ „მეთოდის“ გამართლებას თვითონვე შეუდგა კონკრეტიულ მაგალითებით. მაგრამ იმდენად საცოდავია ამ მაგალითების მოყვანასა და გამოძიებაში ჩემი ოპონენტი, რომ მე პირდაპირ მიძნელდება მის შესახებ ლაპარაკი და დროს დაკარგვა. მაგრამ მისი „ავტორიტეტული რიხით“ ლაპარაკი, მე მაიძულებს მისივე კონკრეტიული „მაგალითებით“ ვაჩვენო მას, თუ როგორ პირდაპირ ამახინჯებს იგი ისტორიულ კონკრეტულ მაგალითების მოხმარას.

ამხ. ამაღლობელს გონია, რომ თუ ორი სიტყვა ამოგლიჯა ისტორიულ მაგალითებიდან, არ გადასცეს მისი აზრი და შინაარსი, ეს საკმარისი, რომ „კონკრეტიული მაგალითი ხელში გვჭიროს მისი მეთოდის აშკარა დამახინჯება ისტორიული ფაქტების ამ „მეთოდით“. გლეჯს ჩემი ოპონენტი ისტორიულ ცხოვრებიდან წარსულიდან მაგალითებს, აცლის მას სულსა და აზრს, ასე შეკვეცილად გადმოცემით, **ხელოვნურად** ამახინჯებს ისტორიულ ფაქტებს. ვინც ისტორიულ მაგალითებს ასეთი ხერხით მიუდგება ის რასაკვირველია ვერაფეს გაიგებს, და მართლაც „აირევა ყოველივე და თავსა და ბოლოს ვერვინ გაართმევს“.

ჩემს ოპონენტს მოყავს ასეთი მაგალითი „კონკრეტიულ მაგალითების“ მეთოდის გასამართლებლად: „**მარქსი აშკარად მოუწოდებდა გერმანელს რუსეთზედ თავდასახმითი ომისათვის.** თუ მოვიხმართ „კონკრეტიულ მაგალითის“ მეთოდს გამოდის, რომ მარქსი პანგერმანული შოვინიზმის აპოლოგეტია. **ასეთი დასკვნა ფორმალი ლოღიკის მიხედვით მართალი და სწორია**, მაგრამ არსებითად შემცდარი“. (კურსივი ჩემია **ს. დ.**). მართლაც საუცხოვო ნიმუში არის **ფორმალი ლოღიკის მიხედვით** ისტორიული ფაქტების გადმოცემისა.

საერთაშორისო ომის დროს, როგორც რუსეთის, ისე გერმანეთის სოციალ-იმპერიალისტები და ბურჟუაზიის სიკოფანტები. ასე გადმოგვცემდენ ისტორიულ ფაქტებს. მარქსის პოლიტიკას ამ ომის საკითხში, არ გაუმართლებიათ თავიანთი სამოქმედო ხაზი. ამხ. ამაღლობელი **ისტორიულ ფაქტის გადმოცემაში** გარკვევით ითვისებს მათ მეთოდს. თურმე ისტორიული ფაქტები და მაგალითები რომ გადმოსცე. ამისთვის საჭირო არ არის **რომელი გერმანეთის თავდასხმას** მოითხოვდა და **საპოლიტიკურო მიზნით,** ამას **მხოლოდ** მარქსიზმის ზოგადი პრინციპებიდან გავიგებთ. ფაქტში არ შეიძლება ამის თქმა, ეს მხოლოდ პრინციპებს ეხება; ასეთს კურიოზულ მეთოდს აყენებს ამხ. ამაღლობელი „კონკრეტიული მაგალითების“ გასაგებად. სწერს რა ზემოდ ამონაწერ სიტყვებს, იგი დასძენს: „ეხლა გავითვალისწინოთ (რატომ ეხლა და არა ფაქტის გადმოცემის დროს **ს. დ.**), რომ **რევოლიუციონური** (კურსივი ავტორისაა ს. დ.) გერმანეთის თავდასხმა სურდა მარქს რეაქციონურ რუსეთზე, **მოვიგონოთ** (მხოლოდ ფაქტის გადმოცემის შემდეგ არა? ს. დ.) მარქსიზმის ზოგადი პრინციპები და ჩვენ დავინახავთ, რომ ზემოდ მიღებული კაზუისტური შემთხვევისაგან (რომელიც თქვენ მიერ არის **ხელოვნურად** შეხანხლილი ს. დ.) მიღებული დასკვნა სხვადასხვაა, მარქსის აზრი კი სხვა“.

ახლა ვეკითხები მართლა კაზუისტურად მოაზროვნე ჩემს ოპონენტს: რატომ არ შეიძლებოდა ისტორიულ „კონკრეტიულ მაგალითის“ გადმოცემის დროს იმის თქმა, რომ მარქსი რევოლიუციონერი გერმანეთის თავდასხმას მოუწოდებდა რეაქციონურ რუსეთზე ან კიდევ შემდეგი ფაქტი, მოელოდა რუსეთ-გერმანეთის—მისაგან საერთაშორისო რევოლიუციას? ისტორიული ფაქტია, რომ მარქსი და ენგელსი სწორედ ასე სვამდენ საკითხს. ისინი მრავალ ათეული წლების განმავლობაში სხვადასხვა პირობებში, (1948—9, 1870—1, და სხვა) კიდეც მოელოდენ და კიდეც მოუწოდებდენ გერმანეთ-რუსეთის ომისაკენ. ამას არ დასჭირდებოდა მარქსის „ზოგადი პრინციპების“ შეწუხება და არც თქვენი ჩხირკედელაობა, რომ ფაქტების გადმოცემის დროს არ დაგვეიწყებიათ მარქსის პოლიტიკა და იქვე მოგვეყვანათ მისი შემდეგი სიტყვები: „მხოლოდ ომი რუსეთთან არის ომი რევოლიუციონური გერმანეთისა“,—სწერდა მარქსი „ახალ რეინის გაზეთში“.—მასში (ომში) მას შეუძლია მოირეცხოს თავისი წარსული ცოდვები, მასში მას შეუძლია გამაგრდეს და დაამარცხოს თავისი საკუთარი მპყრობელები. მასში ის, როგორც შეფერის ხალხს, რომელიც ამსხვრევს დიდი ხნის მორჩილი მონობის ბორკილებს, შეიყიდოს თავისი შვილების განწირვის ცივილიზაციის პრაპაგანდასა და გაინთავისუფლებს თავის თავს საკუთარი სახელმწიფოს ფარგლებში, გაანთავისუფლებს რა ხალხებს მის გარეც.

„... უნდა დავეხმაროთ ყოველ რევოლიუციონერ სიუხვეს, უნდა მოუწოდოთ რევოლიუციონურ ევროპას საერთო ომისაკენ წინააღმდეგ.... რუსეთის რეაქციასა... ჩვენ რომ შევძლებდეთ მივიყვანოთ გერმანეთი რუსეთთან ომამდე, მაშინ დადგებოდა ჰამსბურგებისა და ჰოგენცოლენრენის დასასრული და **რევოლიუცია გაიმარჯვებდა ყოველი ხაზით**“.*)

რა საჭიროა აქ მარქსის ზოგადი „პრინციპები“, იმის დასამტკიცებლად, რომ მას ეს ომი არ უნდოდა პანგერმანელი მიზნებისათვის, არამედ რევოლიუციის გასამაგრებლად. განა ეს ნათლად და გარკვევით არ მოსჩანს მის პოლიტიკურ ხაზიდან ამ საკითხში: ან იქნებ ეს პოლიტიკური ხაზი არ არის საჭირო „კონკრეტიულ მაგალითების“ გადმოცემის დროს?

„კონკრეტიულ მაგალითების“ მეთოდით სარ-

---

*) Г. Зиновьев: „Война и Кризис Социализма“ გვ. 62. ამ მეტად შინაარსიან წიგნში დაკვირვებული წაკითხვით შეუძლია ისწავლოს ჩემს ოპონენტს ისტორიული ფაქტების სისწორით გადმოცემა **ს. დ.**

ეტლში ერთი ადგილის საფასურს ითხოვენ იმდენს, რომ მგზავრი ბორჯომიდან ორჯერ წავა მატარებლით ტფილისში, ვიდრე ბორჯომიდან ახალციხეში ეტლით. (ბორჯომიდან ახალციხამდე 47 ვერსია).

ერთხელ კიდევ მივუთითებთ ახალციხის აღმასრულებელ კომიტეტს მიაქციოს ყურადღება მეეტლების თავხედობასა და ალვირ-ახსნილობას. აღმასკომმა უნდა დაიბაროს ახალციხის ყველა მეეტლები და მისცეს წინადადება, რათა არჩეულ იქმნეს ახალი მეეტლეთა კავშირი. ძველი კავშირი უნდა სრულიად გაუქმდეს, ვინაიდან იგი წარმოადგენს სპეკულიანტების ბუდეს, სადაც მრავალმა პირებმა გაისქელეს ჯიბეები.

აღმასკომმა უნდა გამოსცეს სათანადო ნიხრი, რომელიც სასტიკათ უნდა დაცულ იქმნეს მეეტლების მიერ კავშირის ზედამხედველობის ქვეშ, ნიხრი მიკრული უნდა იქნას თვალსაჩინო ადგილას. აგრეთვე საჭიროა დრო-გამოშვებით გაუწიოს კონტროლი აღმასკომმა მეეტლეთა კავშირს.

ნიხრს აუცილებლად უნდა გაუკეთდეს შენიშვნა, რომელშიაც უნდა აღინიშნოს ახალციხიდან ბორჯომისაკენ გასვლის დრო, ვინაიდან მეეტლები დროზე არ მოდიან და მგზავრები ბორჯომის მატარებელს ვერ უსწრებენ.

ბორჯომში მგზავრი მთელი ღამე უცდის მატარებელს, რითაც უხერხულ მდგომარეობაშივარდება.

საჭიროა აგრეთვე მიეცეს მეეტლებს მკაცრი წინადადება მხოლოდ ოთხის მგზავრის წაყვანის შესახებ. ავეჯიც უნდა წაიღონ არა უმეტეს ხუთმეტი ფუთისა. მეეტლები ხუთი კაცის მაგიერ შვიდრვა კაცს სვამენ ეტლში. ავეჯი სამოც ფუთამდე მიაქვთ და აი ამიტომ გზაზე ეტლს ხან რეზინი, ხან გორიგირა და ხან სხ. ნაწილი უფუჭდება, გარდა ამისა ცხენებიც იღლებიან და დიდი ვაი-ვაგლახით და წვალებით ძლივს აღწევენ ბორჯომამდე. ხშირია შემთხვევა, რომ შუა გზაზე ჩერდება ეტლი, ვინაიდან ძაან დატვირთულია და ცხენებს არ ძალუძსთ მისი ტარება.

საჭიროა ნიხრი გამოიცეს ავტომობილებით მიმოსვლის შესახებაც.

ტანჯული მესხი.

---

**შიო მღვიმელის ჩამოსვლა ქალაქ ბათომში.** ბათომის სადგურზე დილის თერთმეტ საათზე მოვიდნენ მუსიკით შრომის სკოლის (ქართული) მოწაფეები. წინ მოუძღოდათ ამავე სკოლის ლამაზად ჩაცმული მოწაფე-სპარტაკელები, რომლებიც საუცხოვო შთაბეჭდილებას სტოვებდა მაყურებლებზე.

მოწაფეებს ხელში ეკავათ მრავალი ვარდყვავილები. აქვე იყვნენ ტეხნიკუმის მცირე ნაწილი მოზრდილი მოწაფეები. შრომის სკოლების და ტეხნიკუმის მასწავლებლები.

მრავალ-რიცხოვანი მოწაფეობა, მოქალაქეები და მასწავლებლები გნვიდნენ პლატფორმაზე საყვარელ „ძია შიოს“ შესახვედრათ.

ცოტა ხნის შემდეგ სადგურზე ზოვიდა ყვავილებით შემკული 4 ავტომობილი, რომელთაც მოიყვანეს განათლების სახ. კომისარი, მისი მოადგილე, კომუნალურ მეურნეობის წარმომადგენელი და სხ.

გზაზე მოწაფეები ხშირად აყრიდნენ ვარდებს მგოსანს ვაშას ძახილით და ტაშის ცემით აჯილდოვებდნენ.

სამწუხაროთ ახლა სხვა და სხვა მიზეზის გამო არ ძალმიძს დალავებით, რიგზე ავწერო, ავნუსხო, ის უსაღვრო სიხარული, აღფრთოვანება, აღტაცება, რაც იგრძნო ჩვენმა მომავალმა ბურჯმა —ყმაწვილ-მოწაფეებმა, განსაკუთრებით და კერძოთ ქართველმა მოქალაქეებმა.

31 მაისს ბათომის ქართველი საზოგადოება მგოსან შიო მღვიმელს უმართავს საიუბილეო წარმოდგენას აკადემიურ თეატრში, მისი 35 წ. სამწერლო ასპარეზზე მოღვაწეობის გამო. იმედია ბათომის ქართველი საზოგადოება ღირსეულად დააფასებს მათი შვილების სულის მესაიდუმლეს.

მესხური სალამი და დღეგრძელობა „ძია შიოს“.

ტანჯული მესხი.

---

## ხელოვნება

**შალვა გომართელის სალამო.**

პარასკევს 1 ივნისს, სახალხო სახლში გაიმართა შალვა გომართელის სალამო. ეს ახალგაზრდა სცენის მოყვარე რამოდენიმე წელიწადია, რაც მუყაითად და სიყვარულით ემსახურება სახალხო სცენას. ამ სალამოთი წარმოადგინეს მეორე მოქმედება „სოფლის გმირები“-სა, რომელიც ცოცხალი სურათია პროვინციის სადგურის მიკიტნის დუქნისა. ეს სცენა ისევე წუწუნავას მიზან-სცენებით იდგმება სახალხო სახლში და კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი დადგმით. გაქნილი იმერელ მიკიტნის ტიპიური სახე მოგვცა ნინიძემ. ყოველი მისი ჟესტი, მიმიკა თუ თამაში ბუნებრივი და მიზანშეწონილი იყო. კარგი იყო თვით შალვა გომართელი. ტარიელ მკლავაძის როლში. მას ამ როლისთვის ყველაფერი ხელს უწყობს. მხოლოდ მისი ერთგული ტოლ-ამხანაგი მეყანწეები ყვიროდნენ ხმა-მაღლა, რასაც საერთო შთაბეჭდილებაში დისონანსი შეჰქონდა.

შემდეგ წარმოდგენილ იქმნა ი. გომართელის

---

გებლობის დროს აუცილებლად საჭიროა ჩემი აზრით, სამი ძირითადი პირობის დაცვა: 1) როგორ პირობებში ხდება ამბები, 2) ვის ეხება და როგორი სახით, 3) რა მიზეზები უდევს სარჩულად. მარქსის პოლიტიკის დასახასიათებლად „კონკრეტიულ მაგალითების მიხედვით ეროვნულ საკითხში“ მე მოვიყვანე ჩემს წერილში: 1) ირლანდიის ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, 2) რას ითხოვდა მარქსი ირლანდიისათვის დამოუკიდებლობას და ვისგან ითხოვდა ამის აღიარებას (ინგლისის მუშებისაგან) 3) რა პოლიტიკური მიზნები ითხოვდა მარქსი ირლანდიის დამოუკიდებლობას (ირლანდიის ეროვნული ინტერესების დასაცავად და სოციალური რევოლიუციის გასაჩქარებლად.) მე ყოველივე ეს გავამაგრე მარქსს-ენგელსის განმარტებებით და შეხედულებებით. თქვენ კი, ამხ. ამაღლობელო, ისე არიეთ ყოველივე, რომ მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენეთ თქვენი თავი. თქვენ გგონიათ, რომ „კონკრეტიული მაგალითები“ **უდრის** უბრალო ფაქტს, კუდშეკვეცილად და ფრთებ შეჭრილად გადმოცემულს, და ვერ გებულობთ, რომ ასე გაგება „კონკრეტიული მაგალითებისა“ და მისი მეთოდის **უდრის** სინამდვილის გადამახინჯებას. ისტორიული მაგალითების დამახინჯებისათვის კი კარგი დღე არ ადგებათ ასეთი ექსპერიმენტების მომხდენელებს.

ასეთივე კურიოზული შინაარსისა და სრულებით უადგილო არის თქვენ მიერ მოყვანილი ფაქტები რუსეთისა და საფრანგეთის პოლიტიკის შესახებ, ვითომდა „კონკრეტიულ მაგალითების“ მეთოდის გასაბათილებლად. ჩასვით ჩემ მიერ ზემოდ, წამოყენებულ გაგების ფორმებში თქვენი „მაგალითები“ და თქვენი თვალებით დაინახავთ, თუ როგორ კურიოზულ მდგომარეობაში იყენებთ თქვენ თავს. *)

ვიმეორებ: ისტორიულ „კონკრეტიულ მაგალითებით“ სარგებლობა არ ნიშნავს ფაქტების კუდშეკვეცილად და ფრთებ შეჭრილად გადმოცემას, არამედ მის სრულიად გადაშლასა დ ამ გზით სარგებლობას. ამხ. ამაღლობელი პირველ ხერხს ხმარობს, ამით ის მთავარს აცლის „მაგალითებსა“ და ამახინჯებს მას. ეს კი მიუღებელი და დაუშვებელია.

ამხ. ამაღლობელი ცდილობდა ხელაღებით „კონკრეტიულ მაგალითების“ მეთოდის უარყოფით ის გაანადგურებდა მოწინააღმდეგეს, არსებითად კი თავისი თავი გაანადგურა და მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩადგა. ამ მხრივ ამხ. ამაღლობელი იმ გმირს გვაგონებს, რომელსაც ორივე ხელში მაგარი კეტები მოუმარჯვებია, ცალი ხელით უანგარიშოთ ჰაერში აფრიალებს, ჰგონია რომ მოწინააღმდეგეს სცემს, მეორეთ—კი საკუთარ თავზე იშენს და ბრუვდება.

მიკვირს: რა დაუშავა საკუთარმა თავმა ამხ. ამაღლობელს, რომ ასე სასტიკად ეპყრობა მას?

კიდევ ვიმეორებ: იმ შენიშვნებში ჩემი მიზანი იყო დამემტკიცებინა, რომ მენშევიკების მიერ გაკეთებული დასკვნა: (ძველად), „პროლეტარიატს არ შეიძლება ჰქონდეს ეროვნული პოლიტიკაო“, ყალბი იყო, და მეჩვენებინა, რომ მარქს ენგლს ჰქონდათ წამოყენებული ეროვნული პოლიტიკა და პროგრამა გარკვეულ ისტორიულ პერიოდში. ამის დამტკიცება კი შესაძლებელი იყო უფრო ნათლად და სხარტლად კონკრეტიულ ისტორიულ მაგალითების გათვალისწინებისა და მარქს ენგელსის მიერ წამოყენებულ ეროვნულ პროგრამის შინაარსის გადმოცემით, ვფიქრომ ეს მიზანი სავსებით მიღწეული იყო ჩემ მიერ არჩეული გზით.

ჩემმა ოპონენტმა ეს დებულება ვერ დაარღვია, მაგრამ რადგან დარწმუნებულია, რომ უსათუოდ უნდა გაატაროს მარქს-ენგელსის პოლიტიკა ეროვნულ საკითხში, სულ სხვა გზას დაადგა ჩემთან საბრძოლველად, ყოველივე თავდაყირა გადაატრიალა და მკითხველ საზოგადოებას აუბნია გზაკვალი. შეიძლება ეს ხერხი ამხ. ამაღლობელი მიზნების მისაღწევად მისაღები იყოს, მაგრამ სერიოზულ და გულ დასმით მსჯელობაში მისი მოხმარა დაუშვებელია.

ახლა გავსინჯოთ მისი სხვა დებულებებიც.

ხან-დონი.

---

*) ნაპოლეონ III-ეს პოლიტიკის შესახებ, რომელსაც სურდა ექსპლოატაცია მოეხდინა, დაჩაგრულ ერთა“ მიმხრობით თავისი ბატონობის გასამაგრებლად, 1866 წ. ფ. ენგელსი სწერდა: „განთქმული პრინციპი ეროვნებათა შესახებ არის ნაპოლეონის გამოგონება. ნაპალეონის დესპოტიზმის დასამტკიცებლად თვით საფრანგეთში.,. 1851 წ. Coup d'etat (სახელმწიფო გადატრიალების) შემდეგ იყო ნაპოლეონი, ამ იმპერატორს „ღვთის მოწყალებით და ხალხის ნებით“, უნდა გამოვსახა ისეთი პირადი თავისი საგარეო პოლიტიკის დასაფარავად, რომელიც ხმაურობდა დემოკრატიულად და ხალხურად. რა იქნებოდა იმაზე უკეთესი, თუ არ დაეწერა თავის დროშაზე „ეროვნებათა პრინციპი“? (იქვე 26—7) როგორ მრგწონთ მთლად ამაღლობელისებური გაგება არა პოლიტიკისა კონკრეტიულ მაგალითების მიხედვით“?.

---

მხიარული ვოდევილი „იასონის ოინები“, რომელიც აგრეთვე ცოცხლად და კარგად შეასრულეს. აქაც აღსანიშნავია კარგის და ტიპიურის შესრულებით ნინიძე ივანეს როლში, ეს პიესები იმერეთის ცხოვრებიდანაა აღებული და როგორც ამ კუთხის შვილი მსახიობნი თავის ქერქში გრძნობდენ თავს. საზოგადოება ნაკლებად დაესწრო.

ვ. ბ.

---

**სახალხო თეატრის** 30 წლის იუბილე, რომელიც 10 ივნისს იყო დანიშნული, გადაიდო 17 ივნისისათვის ტეხნიკურ დაბრკოლებათა გამო. საიუბილეო კომიტეტს იუბილეს მოწყობა ფართე მასშტაბითა აქვს განზრახული, ამიტომ კომისიები გაცხოველებულად მუშაობენ. საიუბილეო კრებული უკვე იბეჭდება. საბოლოო პროგრამა შემუშავებულია და ამ მოკლე ხანში გამოცხადდება გაზეთებში. *

**ქუთაისი.**

მაისის ბოლო რიცხვებში დასრულდა ქუთაისის აკადემიურ დასის სეზონი.

წრეულს ქუთაისში სეზონი გაიხსნა დაგვიანებით. ამის მიზეზი იყო რეჟისორის კრიზისი. ბოლოს ქუთაისში მოიწვიეს ქუთათურების მეგობარი და აქაურ თეატრის ერთი უანგარო მუშაკთაგანი მსახიობი იუზა ზარდალიშვილი, რომელიც ჩაუდგა დასს სათავეში და გახსნა სეზონი 15 იანვარს.

სულ დაიდგა, როგორც ნათარგმნი, ისე ორიგინალური 50 პიესა. ზოგი პიესა საზოგადოების თხოვნით მეორდებოდა სამჯერ, როგორც მაგალითად: „ურიელა კოსტა“ ტრაღედია გუცკოვისა, „ედმონდ კინი“ დიუმასი, „გადაჭრილი მუხა“ ვ. შალიკაშვილისა, „მედეა“ სუვორინისა, „ახალი ქვეყანა“, „ისმინე იზრაილ“, სამშობლო“ დ. ერისთავისა, „ბოროტმოქმედება და სასჯელი“ და სხვა.

განსაკუთრებრივ გავლენას ახდენდა და აღტაცებას იწვევდა საზოგადოებაში ისტორიული და ორიგინალური თანამედროვე პიესები.

აუარებელი ხალხი ესწრებოდა წარმოდგენებს და არ იყო შემთხვევა, რომ პიესა ბილეთების გაუყიდველობის გამო გადადებულიყო.

მართალია ქუთათური დრამატიული დასი თავის ძალები ვერ შეედრებოდა ტფილისისასმაგრამ აშკარად შეიძლება ითქვას, რომ ტფილისის შემდეგ სეზონის გამარჯვება ეკუთვნის ქუთაისს.

დასში მომუშავეთა შორის აღსანიშნავნი არიან მსახიობ ქალები: ცაცა ამირაჯიბი, რონელი, ლოლუა; მსახიობ-ვაჟნი; იუზა ზარდალიშვილი, საბაული, თუთბერიძე, ბანანჩივაძე, ნემო და სხ. ახალგაზდებში აღსანიშნავნი არიან; მაჭავარიანი, ადამია, ყენია და სხვები.

ხშირად გვესტუმრებოდა ხოლმე საგასტროლოთ ქართულ სცენის ერთი ქურუმთაგანი ვალერიან გუნია, რომელსაც საზოგადოება გულწრფელი სიყვარული და აღტაცებით ღებულობდა ამ სახელოვან მსახიობ დრამატურგს.

დიდი ამბით ჩატარდა დასის სულის ჩამდგმელის და რეჟისორის იუზი ზარდალიშვილის ბენეფისი, რომელიც ქუთაისს ეჩვენა ამ სალამოს ერთ საუკეთესო როლში ემპლუისა რასკოლნიკოვში, ზარდალიშვილს მრავალი საჩუქარი მიართვეს და ყვავილებით მოფინეს სცენა. წარმოითქვა მისასალმებელი სიტყვები.

საერთოდ ქუთაისის საზოგადოება თეატრის დიდი მოყვარულია, მაგრამ რატომღაც (ცენტრიდან არა წყალობენ და უსეზონობა ქუთაისში ხშირი მოვლენაა. ერიდებიან ქუთაისს, თუმცა ქუთათურებმა სხვებზე ნაკლებ არ იციან ხელოვნების მსახურთა პატივისცემა.

ქუთაისის აღმასკომმა დაადგინა მომავალი სეზონის ხარჯების დაფარვა აღმასკომმა დასის რეჟისორი იუზა ზარდალიშვილი გამოგზავნა ტფილისში ახალი ძალების მოსაწვევათ.

განზრახულია მომავალი სეზონი მოეწყოს უფრო ფართო შინაარსით: გაადიდონ დასი და გაამრავალფეროვანონ რეპერტუარიც.

ქუთაისს ერთად ერთი ნაკლი აქვს: ეს თეატრის უქონლობაა. მართალია არის ქალაქის თეატრი, მაგრამ იგი იმდენათ დაძველდა და თხოულობს სერიოზულ შეკეთებას, რომ სჯობია ახალის აშენება, ვიდრე აუარებელ ხარჯის გაწევა დაძველებულ შენობის შესაკეთებლათა.

ქუთაისის აღმასკომმაც გამოიტანა დადგენილება თეატრის ახალ შენობის აგების დასაწყებად. უკვე შეუდგნენ მუშაობასაც. თეატრს აშენებენ ყოფილ „ჩრდილოეთის ნომრების“ შენობის ადგილას. ეს შენობა ამას წინეთ დაიწვა და მისი მდებარეობა თითქმის ცენტრია ქალაქისა.

დღემდე საქმეს აბრკოლებდა ფინანსების უქონლობა, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც ბედმა გაუღიმა ქუთაისს: აღმოაჩინეს ბერების მიერ დამალული აუარებელი განძეულობა. ეს განძეულობის ნაწილი მთავრობის დადგენილებით ხმარდება ქუთაისის ახალ თეატრის შენობას.

ამ რიგათ, ქუთათურ მცხოვრებთ უსრულდებათ დიდი ხნის ნატვრა: ახლო მომავალში ქუთაის ექნება ახალი თეატრი, რომლის შენების დამთავრებას ფიქრობენ სეზონის გახსნამდე.

რაც შეეხება ქუთათურ მწერლებს, ისინი ერთხანს ვითომ ამოძრავდნენ, გამოსცეს კიდევაც ორჯერ სალიტერატურო კრებულის ორი ნომერი ვითომც კავშირიც შექმნეს; მაგრამ ბოლოს კვლავ მიეცნენ ჩვეულებრივ ძილს.

ქ—მერი.

---

**აკაკი ფალავას დრამატიული სტუდია**

თავისთავად ცხადია, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს დღევანდელ [illegible] მომზადებულს მსახიობს.

დღევანდელი [illegible], ყოველმხრივ განვითარებულს მსახიობს, ურომლისოდ განახლებული თეატრი წარმოუდგენელია. ძველი სკოლის მსახიობნი ვეღარ აკმაყოფილებენ ვერც დღევანდელ გემოვნება-განვითარებულს მაყურებელთ და ვერც ხელოვნების მოთხოვნილებათ. ამიტომ აუცილებლად განახლებული თეატრი სრულიად ახალის მომზადებულის ძალებით.

აი ეს იდეა ასულდგმულებდა უთუოდ აკ. ფალავას, როდესაც მან, დიდი შრომისა და ენერგიის შემდეგ მოახერხა დრამატიული სტუდიის დაარსება ქართულ თეატრთან და თავი მოუყარა ინტელიგენტ - ახალგაზრდობას სტუდიაში სამეცადინოთ.

მთავრობამ, დიდი ყურადღება უნდა მიაქციოს ნივთიერი დახმარებით, რომ არ ჩაიფუშოს ესოდენ დიდი შრომით მოგვარებული საქმე, რომლის საზოგადოებრივ-ეროვნულ მნიშვნელობაზედ ლაპარაკიც ზედმეტია.

ამ დღეებში სტუდიელთა გამოცდები დასრულდა. და ივნისის ოთხში შესდგება სტუდიელთა გამოსაცდელი წარმოდგენა სტუდიის დარბაზში. (რუსთაველის თეატრი) რომელზედაც მოწვეულნი იქნებიან ქართულ ხელოვნებასთან ახლო მდგომი პირნი სტუდიელთა ნიჭის შესაფასებლად.

ვ. ბ.

---

**მოსე თოიძის სტუდიის სამხატვრო გამოფენა.**

(მოსე თოიძის სტუდიის გამოფენა არის მეტად საინტერესო, როგორც ტალღა, ისე შემოიჭრა მიძინებულ ქართულ მხატვრობის ატმოსფერაში. რამდენი ახალგაზრდა ამეტყველდა ამ გამოფენაზე და იმედი აღუძრა საზოგადოებას. ეს ნამდვილი ეპოხალური მოვლენაა ვისაც კი სწამს ფართო მასებიდან გამოსულ მუშათა და გლეხის შვილთა შემოქმედების ძალა. საინტერესოა კიდევ ის რომ, მოწაფეებთან ერთად გამოფინეს თვისი ნაწარმოები პროფესორ მოსე თოიძემ და ქართველ ახალგაზრდათა შორის უნიჭიერესმა ირაკლი თოიძემაც, რომლის პორტრეტები და ფანქარით ნახატები ტეხნიკის უმაღლესი მიღწევაა; მხოლოდ მისი რევოლიუციის აპოთეოზი, როგორც ჩირაღდანი, ისე იზიდავს ყველას და უნერგავს გულში სულიერ ძალას.

ამ გამოფენამ შეგვმატა ბევრი ახალგაზრდა მხატვრები რომელთა აღრიცხვა ძნელია პატარა წერილში. საჭიროდ მიმაჩნია ზოგიერთი მათგანი დავასახელო: ძნელაძე დარეჯან, არაყიშვილი ალექსანდრე, ლეჟავა გიორგი, ბერეტაშვილი შალვა, მღებრიშვილი მატილდა, მანველიძე ნინო, ებრალიძე რუსუდან, კაკაბიძე სილოვან, სანაძე კორნელი, ჯაფარიძე ილია, პატარა გოგი თოიძე, ყაზბეგი, კაპანაძე ანეტა და სხვანი.

ქნარი.

---

**კ. კაპანელის სახალხო მოხსენება.** ივნისის შუა რიცხვებში, კ. კაპანელი ტფილისში წაიკითხავს სახალხო მოხსენებას: **„ქართველი ინტელიგენცია“** (კულტურული—ცივილიზაციონური პრობლემა) თეზისები:

1. ისტორია და კულტურა.

2. ყოველი კულტურის სამი ელემენტი: ბუნებრივითი, მემკვიდრეობითი და ინდივიდუალური.

3. ქართული სულის ძირითადი ატრიბუტები: a) პერსონალიზმი, ჲ) ოპოზიციონერების კულტი.

4. ქართული ცივილიზაციის ქაოტიური ხასიათი და კულტი, „უჩემოთ ვინ იმღერეთ მას“.

5. ცივილიზაცია როგორც ფსიქიური ფაქტორი ბიოლოგიური მეხსიერების.

მორალი ფეოდალური არისტოკრატიის და უპრინციპო განაპირების ჩვეულება ქართულ ლიტერიტურაში.

7. ქართველი ინტელიგენტთა და ქართული კულტურის ტრაგედია.

მოხსენების შემდეგ გაიმართება დისპუტი, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ:

კ. გამსახურდია, ი. ტატიშვილი, ა. ქუთაძე, ს. ამაღლობელი და კ. აბაშიძე.

---

**წერილი რედაქციის მიმართ.**

ამხ. რედაქტორო! გთხოვთ მომცეთ საშუალება თქვენი გაზეთის საშუალებით განვაცხადო შემდეგი: 1916 წ. ვითვლებოდი საქ. სოც. ფედ. პარტიის წევრად 1921 წლამდე. სამსახურის გამო ვცხოვრობდი სპარსეთში. უცხოეთში არ მქონდა საშუალება თვალ-ყური მედევნებინა პარტიის ფარგლებში არსებულ ფრთების მოქმედებისათვის. მხოლოდ საქართველოში დაბრუნების შემდეგ და ღრმად დაკვირვებით დავრწმუნდი, რომ მემარცხენე სოც. ფედ. პარტია არის საქართველოს სინამდვილეში ერთად ერთი პოლიტიკური მიმართულება, რომელიც ადგას სწორ გზას და ენერგიულად იცავს მუშათა კლასის კლასიურ და ეროვნულ ინტერესებს ამიტომ ღღეის რიცხვიდან სრულიად შეგნებით ვუერთდები ამ პარტიის რიგებს.

დათიკო ღურჭუმელია.

---

რედაქტორი—სარედაქციო კოლეგია.
გამომცემელი—მთავარი კომიტეტი.

ტირაჟი 1900 ნება დართულია ლიტერატურისა და გამომცემლობის მთავარმართველობის მიერ. № 333 საქართვ. უმაღლ. მეურ. საბჭ. პოლიგრაფ. ნყოფ. სტამბა კრუზენშტეინის ქუჩ. №.